# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 დეკემბერი 2003 №246 (2017) ფასი 50 თეთრი




## ინტერვიუ ციხიდან მერაბ ჟორდანია: ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ეყოლება

...მე თავს უდანაშაულოდ ვთვლი. რატომ უნდა გადავიხადო? ...ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელის საკითხზე ძველებურად მუშაობს. ყველასთან მაქვს კავშირი, ვისთანაც საჭიროა და ვინც უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანაში დახმარებას გვპირდება. ქომაგს დავამშვიდებ და დავარწმუნებ, ჩემი აქ ყოფნის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებში უცხოელი, სახელოვანი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი დადებითად გადაწყდება.

## პროკურორი სეხნიაშვილი: გადაიხადოს ჟორდანიამ და წავიდეს


ინტერვიუ მერაბ ჟორდანიასთან იხილეთ მესამე გვერდზე


## ოლიმპიური წლის წინ ელდარ კურტანიძე ოლიმპიური ვერსიით საქართველოს საუკეთესო სპორტსმენია

*წელი გაილია და ჯილდოთა დარიგების დროც დადგა. გამოკითხვაც არაა საჭირო, მანამდეც ვიცოდით საქართველოს 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენის ვინაობა — ეს წელი თავისუფალი სტილის მოჭიდავე ელდარ კურტანიძისა იყო. ელდარმა ამერიკაში მეორედ მოიპოვა ქართულ დღევანდელობაში ასე იშვიათი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. გუშინ ელდარი რჩეულად შერაცხა საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა, ორიოდ დღეში კი ჟურნალისტებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას.*


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




**მომავალი წლიდან სარბიელი ორშაბათსაც გამოვა**



ბუბა ტყავაძეს (ბურთით) მინი-ფეხბურთი არ ბეზრდება

# პატარა დინამო: აშკარა სიმპათია აშკარად მაგარია

**გუშინ** სენსაციები არ დაჰკლებია „ბენდელას თასის" ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურს. ლეგიონერებითა და ჩვენს ჩემპიონატში მობურთავე გამოცდილი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული რამდენიმე გუნდი მოულოდნელად გამოეთიშა გათამაშებას და ტურნირის ორგანიზატორებსაც დებულებაში „პრიმა მუხლის" შეტანა მოუხდათ: — მეოთხედფინალში გასულებს გავარდნილი გუნდებიდან ორ-ორი ფეხბურთელის დამატების უფლება ექნებათ. მოკლედ, დღევანდელი მეოთხედფინალები ერთობ წარმომადგენლობითი იქნება და დაძაბული მატჩებია მოსალოდნელი.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ „ბენდელას თასის" მეთორმეტე ტურნირის აღმოჩენა და ყველაზე სიმპათიური გუნდი თბილისის „დინამოა". უწვერულმა 17-18 წლის ბიჭებმა გუშინაც იყოჩაღეს და ერთ-ერთი ფავორიტი შეიწირეს. ამაზე ქვემოთ, იქამდე კი არანაკლებ საინტერესო სამი მატჩი იყო.

პირველ ორ ტურში „მაისმა" და „ვაკე 91"-მა ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს. ამიტომაც მეოთხედფინალში ვადამდე გასულებმა ლიად და გულდაგულ იბურთავეს. ლევან მელქაძის ზუსტი პასებით ვაკელებმა 15 წუთში ორბურთიანი ფორა მოიპოვეს, თუმც ლადო ბურდულმა თანაგუნდელები აიყოლია და მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე უკვე „მაისი" იგებდა. ვაკელები გასათანაბრებლად მიაწვნენ მეტოქეს და ერთ-ერთი შეტევისას ლევან მელქაძე დაშავდა. დინამოელმა თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო და დარჩენილ წუთებში ბურდულმა და ჯაკობიამ ანგარიში 5:2 გახადეს.

თსუ-ს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს „ოფის-ლაინთან" და ბევრისთვის მოულოდნელად მიაღწია კიდეც საწადელს. დემეტრაძემ, კიკნაძემ, ტყავაძემ და ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბომბარდირმა ბორის გონჩაროვმა ვერაფერი მოუხერხეს სტუდენტებს. ხმალაძის დუბლით დაწინაურებულ თსუ-ს დემეტრაძემ გაუქვითა ერთი ბურთი, თუმც ოფისელებმა გახარება ვერ მოასწრეს, ათანელაშვილმა 3:1 რომ გახადა. მეორე ტაიმის დასაწყისში ტყებუჩავამ მეოთხეც გაიტანა და დარჩენილ დროში უფრო გამოცდილთა მცდელობა ამაო გამოდგა.

წინა მატჩის მსგავსად „კახეთმა" კვლავ 1:0 მოიგო, ამჯერად GWS-თან. თელაველ და თბილისელ „მელვინეთა" ჭიდილში კახურმა ივარგა — პაატა გამცემლიძის საპირველტაიმო გოლი ვერაფრით გაქვითეს GWS-ელებმა, არადა, სამ-ოთხჯერ საამისო კარგი შანსიც ჰქონდათ, მაგრამ კარის ძელ-ხარიხას ვერაფერი მოუხერხეს.

დღის მეოთხე, უხვგოლიანი, საინტერესო და დაძაბული „დინამო" — „ნაციონალი" იყო. პატარა დინამოელებს დარასელიამ, აბრამიძემ, გაგუამ, ბაქრაძემ და მინი-ფეხბურთში ჭიპმოჭრილმა მოსულიშვილმა ვერაფერი მოუხერხეს, თავის მხრივ არც ხვიჩა ქასრაშვილის შეგირდები შეეპუვნენ გამოცდილებს, ტურნირის სიმპათიამ ამჯერადაც ლაღად იბურთავა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

გუშინწინ თუ ტურნირზე ჯაბა კანკავა გამოირჩა, გუშინ მეორე ჯაბამ, დვალმა „გაიგიჟა" თავი — დინამოელთა მეათე ნომერმა „ნაციონალებს" პოკერი გაუშალა.

1:4 წაგებული პირველი ტაიმის შემდეგ „ნაციონალი" მეორეში ამოქმედდა, მოულოდნელად გამწვრთნელებულმა უფროსმა დინამოელმა ლადო ბურდულმა სათანადო მითითება მისცა შესვენებაზე „შეგირდებს" და როცა ვიტალი დარასელიამ თამაშის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ერთ ბურთამდე შეამცირა სხვაობა, ვითარებაც დაიძაბა: „ნაციონალი" გათანაბრებას ლამობდა, „დინამო" ანგარიშის შენარჩუნებას, ერთ-ერთი ეპიზოდისას მსაჯმა მაისურაძემ შეტევაში დარასელია დააჯარიმა, ნაციონალების ბანაკში არბიტრის მოქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია, „დინამომ" ჯარიმა გაითამაშა და ამ შეტევასაც დვალის გადამწყვეტი გოლი მოჰყვა. გოლიც მოჰყვა და ვერ მოთოკა ნერვები სათადარიგო ქუთათელაძემ, მაისურაძეს მოედანზე შეუვარდა, თუმც თანაგუნდელებმა დროზე დააშოშმინეს.

III ჯგუფის მეორე მატჩში „თბილისმა" — „ზოოვეტი" დაამარცხა. ელგუჯა გუგუშვილის გაწვრთნილებს ცდა არ დაუკლიათ, არ უნდოდათ, ტურნირი უქულოდ დაესრულებინათ, მაგრამ არ გამოვიდა ეს საქმე. „თბილისი" ორჯერ იგებდა, მეტოქემ ორჯერვე გაუთანაბრა, თუმც ექვსი წუთით ადრე გაშვებული გივი კვარაცხელიას გოლი ამჯერად ველარ გაქვითეს.

ჯგუფური ეტაპი კი „ლოკომოტივმა" და „ჩიხურამ" დაასრულეს. შარშანდელმა ჩემპიონმა ამჯერად კი მოიგო, მაგრამ მეოთხედფინალში გასასვლელად ორბურთიანი სხვაობა არ ეყო. ლოკომოტიველმა მოწონელიძემ მატჩის დასრულებამდე წუთით ადრე 4:2 რომ გახადა, რკინიგზელები მეხუთეს გასატანად მიაწვნენ საჩხერელებს. თუ გაიტანდნენ, ორიდან-ერთი საუკეთესო მესამეადგილოსნები შეიქნებოდნენ და მეოთხედფინალშიც რისვაი-ვაგლახით გაალწევდნენ, მაგრამ „ჩიხურას" მეკარე გუგუნავამ და დაცვამ არ დაანებეს.

მოკლედ, ჩემპიონი გავარდა. მეოთხედფინალები დღეს სპორტის სასახლეში 3 საათიდან დაიწყება, საინტერესო მატჩებს და ეგებ, სენსაციებსაც დღესაც უნდა ველოდოთ.

**პაატა ქვანტალიანი**
**გიორგი გუზაძიძე**



ლადო ბურდული მწვრთნელის ამპლუაში

24 დეკემბერი

**I ჯგუფი**

**ოფის-ლაინი 1:4 თსუ**

0:1, 0:2 ხმალაძე (13, 16), 1:2 დემეტრაძე (18), 1:3 ათანელაშვილი (19), 1:4 ტყებუჩავა (22)

**დინამო 5:3 ნაციონალი**

1:0, 2:0 დვალი (1, 7), 2:1 გაგუა (14), 3:1 კანკავა (18), 4:1 დვალი (20), 4:2, 4:3 დარასელია (26, 35), 5:3 დვალი (38)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 11:7 | 9 |
| თსუ | 3 | 1 | 0 | 2 | 7:6 | 3 |
| ნაციონალი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:9 | 3 |
| ოფის-ლაინი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:9 | 3 |

**II ჯგუფი**

**მაისი 5:2 ვაკე 91**

0:1 ლამბაშიძე (5), 0:2 არჩვაძე (15), 1:2 ბურდული (17), 2:2 დეკანოსიძე (25), 3:2 კვირკველია (28), 4:2 ბურდული (34), 5:2 ჯაკობია (36)

**ლოკომოტივი 4:2 ჩიხურა**

0:1 მაზანაშვილი (10), 1:1 სირაძე (12), 2:1, 3:1 მანწკავა (22, 33), 3:2 თორთლაძე (37), 4:2 მოწონელიძე (39)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაისი | 3 | 3 | 0 | 0 | 14:4 | 9 |
| ვაკე-91 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:8 | 6 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |
| ჩიხურა | 3 | 0 | 0 | 3 | 5:14 | 0 |

**III ჯგუფი**

**GWS 0:1 კახეთი**

0:1 გამცემლიძე (18)

**თბილისი 3:2 ზოოვეტი**

1:0 კვარაცხელია (19), 1:1 ცერცვაძე (19), 2:1 მიკუჩაძე (30), 2:2 ტეფნაძე (32), 3:2 კვარაცხელია (34)

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:1 | 9 |
| თბილისი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 6 |
| GWS | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ზოოვეტი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |

**მეოთხედფინალი. დღეს**

| | |
|---|---|
| 15.00 | თსუ — ვაკე-91 |
| 16.00 | დინამო — GWS |
| 17.00 | კახეთი — ნაციონალი |
| 18.00 | მაისი — თბილისი |

*ბევრი ქართველი ლეგიონერის მსგავსად, შვებულება აქვთ გოჩა ჯამარაულს და გიორგი დემეტრაძეს. ჯამარაული გაზაფხულიდანაც დონეცკის „მეტალურგში" იქნება, დემეტრაძეს კი გაცილებით ხელსაყრელი პერსპექტივა გამოუჩნდა — მისით ბელგიური „ბრიუგე" დაინტერესდა.*

*დემეტრაძეს „ბრიუგეში" გადასვლის კარგი შანსი თუნდაც იმიტომ აქვს, რომ ბელგიური კლუბის დატოვება ერთბაშად ხუთ ფეხბურთელს განუზრახავს და აქედან ორი თავდამსხმელია, თუმც უკრაინიდან ბელგიაში დემეტრაძის გადასვლა ორ კლუბს შორის მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული.*

*გიორგი დემეტრაძეს გუშინ ვესაუბრეთ*

# დემეტრაძეს მეტალურგობას ბრიუგე ურჩევნია

— როდის დაინტერესდა „ბრიუგე" შენით?

— დეკემბრის დასაწყისში შევიტყვე ამის შესახებ. „მეტალურგის" ხელმძღვანელებმა მითხრეს, შენს თაობაზე ბელგიიდან დაგვიკავშირდნენო.

— თავად თუ შეხვდი „ბრიუგეს" წარმომადგენლებს?

— მათაც ველაპარაკე. ამას წინათ დონეცკში იყვნენ. კონკრეტულ პირობებზე არ გვისაუბრია, რადგან ჯერ უშუალოდ კლუბებმა უნდა მოილაპარაკონ. ეს პროცესი ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ ამ დღეებში ყველაფერი გაირკვევა.

— „მეტალურგთან" კიდევ სამი საკონტრაქტო წელი გაკავშირებს. ეს არ შეგიქმნის პრობლემებს?

— არანაირს. კონტრაქტში ჩემი ინტერესებიცაა გათვალისწინებული. იქ წერია, რომ თუ რომელიმე ევროპული, სოლიდური გუნდი მოისურვებს ჩემს გადაბირებას, დონეცკელები ხელს არ შემიშლიან, რალა თქმა უნდა, გარკვეული ზომიერი საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. სწორედ ამ თანხაზე უნდა შეთანხმდნენ ბელგიელები და უკრაინელები.

— დაახლოებით რა თანხაზეა საუბარი?

— ზუსტად არ ვიცი, თუმც დარწმუნებული ვარ, „მეტალურგი" არარეალურ თანხას არ დაასახელებს.

— ბელგიაში გამგზავრება როდის მოგიწევს?

— ორ-სამ დღეში გადაწყდება ყველაფერი. უფრო კონკრეტულად მეცდოდინება ბევრი რამ და ამის შემდეგ ალბათ ბელგიაშიც წავალ.

**პაატა ქვანტალიანი**



# ღმერთმა წელი მოგიმართოს

**არავის ეგონა,** ხერხემლის მძიმე ტრავმის შემდეგ გიორგი კიკნაძე ფეხბურთს კვლავ თუ ითამაშებდა. თბილისის „დინამოსა" და გერმანული „ფრაიბურგის" ყოფილი ნახევარმცველი, საბედნიეროდ, ახლა ისევ ჯანზეა და ძველ საქმეს კვლავაც გულმოდგინედ მისდევს.

კიკნაძემ ხერხემლის ოპერაცია ორჯერ გაიკეთა, ჯერ გერმანიაში, მერე, შვიდი თვის წინ აქ, თბილისში. განკურნებული „დინამოს" დილმის ბაზაზე მივიდა და ინდივიდუალურად დაიწყო ვარჯიში.

კიკნაძეს გუშინ სპორტის სასახლეში გამოველაპარაკეთ. მისი თქმით, მეორე წრიდან ეროვნულ ჩემპიონატში ხელმეორე დებიუტს ელის, თუმც რომელი გუნდის შემადგენლობაში, ჯერაც უცნობია, რეალური წინადადებით არავის მოუმართავსო.

გამორიცხული არც ისაა, კარიერის გასაგრძელებლად კვლავაც უცხოეთში წავიდეს, რუსეთიდან და უკრაინიდან ჰქონია მიწვევები. რადგან პირადი მენეჯერი არ ჰყავს, მსურველ კლუბთან საკონტრაქტო პირობების მოგვარებას თავად აპირებს.

ჩემთვის ახლა უმთავრესი თამაშია, სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია — იმედოვნებს კიკნაძე.

**გიორგი გუზაძიძე**



# მერაბ ჟორდანია ფულს არ გადავიხდი და მწვრთნელსაც დავნიშნავთ

*ხვალ მერაბ ჟორდანიას დაპატიმრებიდან ორი კვირა შესრულდება.*

*ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს „დინამოს" პრეზიდენტობისას ბიუჯეტში გადაუხდელ თანხას ედავებიან. საქმე უკვე ორ სასამართლოში გაირჩა. კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ ჟორდანიას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა, შემდეგ კი ბრალდებულის გასაჩივრებული ეს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა. მერაბ ჟორდანია გირაოს სანაცვლოდაც არ გაათავისუფლეს. ამასობაში პრეზიდენტმა ადვოკატი როსტიაშვილი შალვა შავგულიძით შეცვალა. ჩვენს კითხვებს კი საპატიმროდან წერილობით უპასუხა*



მერაბ ჟორდანია თავს დამნაშავედ არც ახლა თვლის:

— პოზიცია არ შემიცვლია, ვფიქრობ, რომ უდანაშაულო ვარ, სიმართლე ჩემკენაა.

**— პროკურორ სეხნიაშვილის თქმით, თქვენ რომ სადავო 741 984 ლარის ნაწილი ბიუჯეტში თუნდაც დღეს შეიტანოთ, წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლდებით. ამასთან, გამოძიების დასრულების შემდეგ თუ გამართლდით, თანხა უკან დაგიბრუნდებათ. არ აჯობებს, პროკურორის რჩევა მიიღოთ?**

— დიახ, მართლაც იყო ასეთი შემოთავაზება, მაგრამ მე თავს უდანაშაულოდ ვთვლი. რატომ უნდა გადავიხადო? დაველოდოთ სასამართლოს, ვიმედოვნებ, რომ გამოძიება ობიექტური იქნება.

**— შესაძლოა, რომ წინასწარი პატიმრობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდეთ?**

— ვერ გიპასუხებთ, არ ვიცი.

**— ამბობენ, ჟორდანიას დაპატიმრება მავანთა ინტერესებს უკავშირდებაო. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— ასეთი ხმები ჩემამდეც მოვიდა და, ბუნებრივია, ამაზე ვფიქრობ კიდეც, ეჭვები კი მაქვს, მაგრამ ეჭვის საფუძველზე რაიმეს მტკიცებას არ მოვყვები. თანაც ეს ჩემგან არაკორექტული იქნება.

**— გავიგეთ, რომ ძალიან განერვიულებული ხართ და თავის ტკივილები გაწუხებთ...**

— აქ მყოფი კაცისთვის ნერვიულობა, აბა, რა გასაკვირია, თავის ტკივილებიც მაქვს და კარგი იქნება, თუ სამედიცინო [illegible]მოწმებას გავივლი. რა თქმა უ[illegible]ს კანონით არ იკრძალება.

**— პატიმრობაში მყოფს იქნებ არც უნდა გეკითხებოდეთ, მაგრამ მაინც: ნაკრების მწვრთნელის დანიშვნის საკითხი კვლავ ღიადაა და საკმაოდ აქტუალურია. რას ეტყვის ქომაგს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი?**

— პრესას თვალყურს ვადევნებ და ვიცი, რა განწყობაა საფეხბურთო სამყაროში. გეტყვით, რომ ფეხბურთის ფედერაცია ამ საკითხზე ძველებურად მუშაობს. ყველასთან მაქვს კავშირი, ვისთანაც საჭიროა და ვინც უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანაში დახმარებას გვპირდება. ქომაგს დავამშვიდებ და დავარწმუნებ, ჩემი აქ ყოფნის მიუხედავად, საქართველოს ნაკრებში უცხოელი, სახელოვანი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი დადებითად გადაწყდება.

**ძოზა ინასარიძე**

# პროკურორის სიტყვა გადაიხადოს და წავიდეს!

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას საქმე ჯერაც ძიებაშია, თავად ჟორდანია სამთვიან წინასწარ პატიმრობაში და გამოძიების დასრულებას ელის.*

*იქამდე კი ფედერაციის პრეზიდენტის წინასწარ პატიმრობაში მიცემა-არმიცემის თაობაზე ორი სასამართლო უკვე გაიმართა. კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ პროკურორ ლაზარე სეხნიაშვილისა და გამომძიებლის მოთხოვნით ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. რაიონულის გადაწყვეტილება ჟორდანიას ადვოკატმა საოლქოში გაასაჩივრა, თუმც მოსამართლე ომარ ჯორბენაძემ სასჯელი ძალაში დატოვა.*

*რა ხდებოდა პრესისთვის დახურულ ორ სასამართლოზე? ამ კითხვასა თუ კითხვებზე გვპასუხობს თავად ლაზარე სეხნიაშვილი, რომელსაც გენერალურ პროკურატურაში შევხვდით*



**— მთავარი თავიდანვე ვთქვათ: ბრალის დადასტურების შემთხვევაში რა სასჯელი ელის მერაბ ჟორდანიას?**

— მას წაყენებული აქვს 160-ე მუხლი, რომლის მეორე ნაწილის შესაბამისად ელის პატიმრობა ვადით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე.

**— რა თანხას ედავება გამოძიება ჟორდანიას?**

— სადღეისოდ 741 984 ლარს. ის ბიუჯეტში გადასახადებისგან თავის არიდებაშია ბრალდებული.

**— სადღეისოდო, თქვით, ეს რას ნიშნავს?**

— 741 984 ლარი არის ნაწილი იმ თანხისა, რასაც გამოძიება მთლიანად შპს „თბილისის დინამოს" ედავება. საერთო თანხა შეადგენს 3 861 644 ლარს. 741 984 ლარის გარდა დარჩენილი ნაწილის ექსპერტიზა დღესდღეობით არ დასრულებულა. როცა ექსპერტიზა დამთავრდება და თანხა დაანგარიშდება, მერე შესაძლებელი იქნება ითქვას, გამოძიება ვის რამდენს ედავება.

**— ესე იგი, 3 861 644 ლარიდან ჟორდანიას „წილი" 741 984 ლარია და შესაძლოა, ექსპერტიზის შემდეგ ეს თანხა გაიზარდოს?**

— დიახ, შესაძლოა, ასეც იყოს.

**— შესაძლოა შემცირდეს კიდეც?**

— დღესდღეობით ჟორდანიასთან სადავო 741 984 ლარია.

**— და თუ ბრალდებულმა ეს თანხა ბიუჯეტში დღესვე შეიტანა, შესაძლოა, რომ ახლავე განთავისუფლდეს?**

— ახალი ბრალდების წაყენებამდე ჟორდანიამ თუ ბიუჯეტში 741 984 ლარი გადაიხადა, საქმე შეწყდება, ეს კი ჟორდანიას განთავისუფლებას ნიშნავს. დღესდღეობით მას შეუძლია ეს თანხა ბიუჯეტში შეიტანოს და ბრალი მოეხსნება.

**— ზოგის აზრით, ადვოკატს ჟორდანიას უკეთ დაცვა შეეძლო.**

— ვერაფერს გეტყვით, კომენტარის გაკეთების არც სამართლებრივი, არც მორალური უფლება არ მაქვს.

**— როგორც ვიცით, თქვენ რაიონულ სასამართლოზე მერაბ ჟორდანიას წინასწარ პატიმრობაში მიცემა მოითხოვეთ. საოლქოში კი თქვით, ჟორდანიამ 400 ათასი ბიუჯეტში გადაიხადოს და განთავისუფლდესო. ასე იყო?**

— რაიონულ სასამართლოზე მე და გამომძიებელი მართლაც ცალსახად ვითხოვდით ჟორდანიას წინასწარ პატიმრობაში მიცემას.

**— რატომ ითხოვდით, რამ დაგარწმუნათ, რომ ჟორდანია გამოძიებას დაემალებოდა?**

— ასეთი შინაგანი რწმენა ჩამომიყალიბდა. ჟორდანია დაკავებამდე ორჯერ იყო დაბარებული გამომძიებელთან, მაგრამ არ გამოცხადდა. არ გამოცხადდა და ღამით აღმოჩნდა აეროპორტში, მას სასაზღვრო ზოლი გადაკვეთილი ჰქონდა და თვითმფრინავის ტრაპზე დააკავეს. კითხვაზე, გამომძიებელთან შეხვედრას თავს რატომ არიდებდა, ჟორდანიამ თქვა, დეპუტატობის კანდიდატი ვარ და წინასაარჩევნო კამპანიას ვეწევიო. საარჩევნო კოდექსის 102-ე მუხლით დეპუტატობის კანდიდატის დაკავება არ შეიძლება, თუმც ჟორდანია პასუხისგებაში იქამდე იყო მიცემული, ვიდრე მას საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში გაატარებდა.

**— თქვით, შინაგანი რწმენა ჩამომიყალიბდა, რომ ჟორდანია მიიმალებოდა და მისი წინასწარი პატიმრობა ამიტომ მოვითხოვეო. იქნებ, დაგალალატათ შინაგანმა რწმენამ?**

— ასეთი რწმენა მოპოვებულ გარემოებებზე დაყრდნობით შემექმნა.

**— რაიონულ სასამართლოზე მართლაც იყო ლაპარაკი გირაოს გადახდის შემთხვევაში ჟორდანიას გათავისუფლებაზე?**

— დიახ, იყო ლაპარაკი 250 ათას ლარზე, თუმც ჟორდანიას შეთავაზებული გირაოს ნაკლები თანხა მოსამართლემ საკმარისად არ ჩათვალა.

**— საოლქო სასამართლოზე პირვანდელი მოთხოვნა რატომ შეცვალეთ?**

— ჟორდანიას მხარის წარმოდგენილი 50-მდე პარლამენტარისა და ვეტერანი ფეხბურთელების შუამდგომლობას გავეცანი, ისინი ჟორდანიასთვის შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად შეღავათიანი გადაწყვეტილების მიღებას ითხოვდნენ. გავითვალისწინე ეს და ვთქვი, ჟორდანიამ 400 ათასი პირდაპირ ბიუჯეტში შეიტანოს, დაიწყოს სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის დაფარვა და განთავისუფლდეს-მეთქი. დანარჩენი თანხის დასაფარად კი ჟორდანიას გონივრულ გრაფიკს შევუდგენდით. ცუდი რა ვთქვი? ბრალდებულის მხარეს სურდა 250 ათასი ლარის გადახდა, აქედან 60 ათასის ბიუჯეტში, დანარჩენის კი გირაოს სახით. ამ წინადადებას მოსამართლე არ დათანხმდა. გირაოზე ჩემგან სიტყვაც არ თქმულა, ბიუჯეტის სასარგებლოდ კი დათმობაზე წავედი.

**— მაინცდამაინც 400 ათასი რატომ მოითხოვეთ?**

— უბრალოდ, 400 ათასი 741 984 ლარის ნახევარზე მეტია.

**— ჟორდანია თქვენს მოთხოვნას რომ დათანხმებულიყო და თანხის გადახდა დაეწყო, ფაქტობრივად, ბრალდებას აღიარებდა...**

— არა, რატომ? ბრალდებული იტყოდა, ბრალდებას არ ვეთანხმებიო და გამოძიება გაგრძელდებოდა. ის გათავისუფლდებოდა და თუ მისი უდანაშაულობა დამტკიცდებოდა, ბიუჯეტში შეტანილი თანხა უკანვე დაუბრუნდებოდა. თუ ჟორდანიას ბრალი დაუმტკიცდებოდა, ასეთ შემთხვევაშიც ის თავისუფალი იქნებოდა, რადგანაც ბიუჯეტში თანხა შეტანილი იქნებოდა.

**— ამბობენ, ჟორდანია რომ ამ ფულის გადახდას დათანხმებოდა, გამოძიება მეტსაც მოითხოვდაო...**

— ვინ ამბობს... სასამართლო პროცესის ოქმში ყველაფერი იწერება. დაფიქსირდებოდა ბრალდებისა და დაცვის მხარეთა სიტყვები.

**— დავუბრუნდეთ 3 861 644 ლარს. აქედან 741 984 ლარი, ვიცით, 1996-98 წლებში თბილისის „დინამოს" სატრანსფერო თანხაა. დანარჩენი?**

— მთლიანად სატრანსფერო თანხებზეა ლაპარაკი. ტრანსფერებიდან მიღებული თანხის უმეტესი წილი პირდაპირ შვეიცარიულ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე ირიცხებოდა. ეს თანხა არც „დინამოს" ბუღალტერიაში ტარდებოდა და ქვეყნის კანონმდებლობით არც იბეგრებოდა.

**ძოზა ინასარიძე**

# ფაქტები აღარ მიიჩქმალება

## პროფლიგა თებერვლის რევოლუციას გვპირდება



*რამდენიმე თვის წინ შექმნილი საქართველოს საფეხბურთო პროფესიული ლიგა გაისად დამოუკიდებლად გაუძღვება ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებას. პროფლიგამ უკვე შექმნა იმის პრეცედენტი, რომ ჩვენი ჩემპიონატი კომერციალიზებულია და ეს შეუქცევადი პროცესია. თუმც პროფლიგა ახალშექმნილია და ხარვეზების გამოსწორება თუ ახალი იდეების განხორციელება აწი მართებს. სწორედ ამ საკითხებზე ვესაუბრეთ პროფესიული ლიგის პრეზიდენტს დიმიტრი რამიშვილს*

— მიგაჩნიათ, რომ ჩემპიონატის პირველი ეტაპი ისე ჩატარდა, რომ მეორე ეტაპი პროფლიგამ დამოუკიდებლად წარმართოს?

— პირველი ეტაპიც, ფაქტობრივად, დამოუკიდებლად ჩაატარა პროფლიგამ, თუმც ფეხბურთის ფედერაციის მეთვალყურეობით — ფედერაციასთან ინტენსიური კონსულტაციები გვქონდა. ვფიქრობ, ჩემპიონატის პირველი ეტაპის ნორმალურად ჩატარებას თავი გავართვით.

— პროფლიგის წევრი ჯერაც არაა თბილისის „დინამო" — კლუბის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ პროფლიგის წესდება დასახვეწია და რომ მასში რამდენიმე იურიდიული კაზუსია.

— როცა პროფლიგის ჩამოყალიბება გადავწყვიტეთ, აუცილებელი იყო ხელშეკრულებების გაფორმება სპონსორებთან, რადგან სწორედ სპონსორებთან გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე უნდა შეგვეთავაზებინა პროფლიგაში გაწევრიანება კლუბებისთვის — ჩვენი პროექტი ხომ სპონსორული ხელშეკრულებებითაა ჩამოყალიბებული. ჯერ პროფლიგა შეგვექმნა კლუბებთან ერთად და მერე ხელშეკრულებები სპონსორებთან — ასეთი გზით ვერ წავიდოდით, რადგან კონტრაქტები სპონსორებთან კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. თებერვალში კი პროფლიგის ყრილობა გაიმართება და ჩვენი წესდებაც დაიხვეწება — „დინამოს" შენიშვნებს გავითვალისწინებთ, ამ მხრივ ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავთ.

— პროფლიგის შექმნით სასიკეთო ძვრები მართლაც არის, მაგრამ როცა გულშემატკივარი ტრიბუნაზე ზის, ის მაინცდამაინც ვერ გრძნობს სიახლეებს, შოუს ფაქტორი, ფაქტობრივად, არ მუშაობს — ხომ შეიძლება, თუნდაც ის გაკეთდეს, რომ ტურის ერთ-ერთი გამორჩეული თამაშის წინ ან ტაიმებს შორის მაყურებელი შოუბიზნესის წარმომადგენლებმა გაართონ...

— ეროვნულ ჩემპიონატში ტელეკომპანიები ეს-ეს არის, რაც ჩაერთვნენ. სერიოზული თანადგომა გვაქვს ტელეკომპანია „იმედისგან" და მისი ხელმძღვანელობის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს „მეცხრე არხი", ეროვნულ ჩემპიონატს სერიოზულად მოკიდა ხელი „მზემაც". ინტენსიურად რომ ვთანამშრომლობთ „პირველ არხთან", ეს სახელმწიფოს მხრიდან ფეხბურთისადმი სწორ მიდგომაზეც მიუთითებს. ეროვნულ ჩემპიონატზე ანალიტიკური გადაცემების ციკლს აპირებს „რუსთავი 2". ჩემპიონატის და თასის პოპულარიზაციის პროცესში სერიოზულად არიან ჩართულები რადიოები და გაზეთები, მასმედიის ყველა საშუალება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს აგრეთვე ფეხბურთში დაკავებული ყველა ადამიანის საქმისადმი უფრო სერიოზულ მიდგომას.

— გასაგებია, მაგრამ მატჩებზე შოუების მოწყობა, როგორც ჩანს, ამ სეზონში არ მოესწრება...

— ჩვენს პროექტში ეს საკითხი შედის, მაგრამ ყველაფრის ერთ, თანაც პირველ სეზონში განხორციელება შეუძლებელია — პროფლიგა ფინანსურად ჯერ ისე მძლავრად ვერაა, როგორიც შესაძლოა, მომდევნო სეზონში იყოს — სპონსორებთან დადებული კონტრაქტებით შემოსავლები ყოველწლიურად მინიმუმ 30%-ით უნდა გაიზარდოს. ისე, შოუების მოწყობა კლუბებს დამოუკიდებლადაც შეუძლიათ.

**— „იმედი", თქვენი ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ტელეკომპანიებიდან, მხოლოდ იმ მატჩებს გადმოსცემს, რომლებშიც „დინამო" მონაწილეობს...**

— „დინამო" ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია და ყველა გუნდი მის წინააღმდეგ განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს, მაგრამ სულაც არაა გამორიცხული, რომ „იმედმა" არადინამოური მატჩებიც გადასცეს — პლეიოფში თუ რომელ თამაშებს შეარჩევს „იმედი", ამაზე ვისაუბრებთ და საკითხს დადებითად გადავწყვეტთ.

**— პროფლიგის სპონსორები ჩემპიონატის პირველი ეტაპით კმაყოფილნი არიან?**

— ვფიქრობ, კი — სპონსორთა რეკლამები ნორმალურად მიდის, საგანგებო ფირნიშები პრესკონფერენციების და ინტერვიუების პროცესშიც ჩანს. სპონსორებს თავიანთი ნაწარმის რეალიზებაც შეუძლიათ მატჩებზე, თუ ამის სურვილი გაუჩნდებათ. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი სპონსორის „საქართველოს ბანკის" ვიზა-ბარათებით პროფლიგის 150-კაციანი კოლექტივი სარგებლობს. თანამშრომლებს ამ ბანკიდან კრედიტის აღებაც შეუძლიათ ჩვენი გარანტიით და ამის საშუალება კლუბებსაც აქვთ.



ყველაზე .გულსაკლავი ჩვენს სტადიონებზე: სიცარიელე

**— კლუბებს ყოველწლიურად შეჰქონდათ ჩემპიონატის სამონაწილეო თანხა ფეხბურთის ფედერაციაში — პროფლიგა ხომ არ აპირებს ამ შესატანისგან კლუბების გათავისუფლებას?**

— პროფლიგის პროექტებში ეს არ არის გათვალისწინებული — კლუბების მიერ შემოტანილი თანხა კვლავაც მსაჯების და ინსპექტორ-დირექტორების დაფინანსებას მოხმარდება. თანაც, ასეთი გადასახადისგან არც ერთ წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში არ არიან გათავისუფლებული კლუბები — ეს პროფლიგის და კლუბების ფინანსური ურთიერთობების რეგულირების საშუალებასაც იძლევა.

**— დისციპლინის და უსაფრთხოების ფაქტორებზეც ვთქვათ. ხშირად მატჩებზე მომხდარი ექსცესები იჩქმალება, სადისციპლინო კომიტეტი კი მხოლოდ მსაჯის თუ ინსპექტორ-დირექტორის პატაკებით ხელმძღვანელობს, სადაც ხანდახან ყველა ფაქტი როდია დაფიქსირებული — როგორ აპირებთ ამ საკითხების გადაჭრას?**

— ფაქტების მიჩქმალვა და მსუბუქი სასჯელი კორუფციით კი არა, უფრო სხვა რამით იყო გამოწვეული — ვიღაცა ვიღაცის ახლობელია, ვიღაცამ ვიღაცას შეღავათი სთხოვა და ასე შემდეგ. მაგრამ ასე აღარ იქნება. ამის შესახებ ჩვენ ველაპარაკეთ მსაჯებს, ინსპექტორებსა და დირექტორებს. საუბრისას აღვნიშნეთ, რომ ფაქტების მიმჩქმალველებს პროფლიგიდან მოვკვეთავთ და ეს ეხებათ მსაჯებსაც, რომელთა მიმართაც დამოკიდებულება გამკაცრდება — ხშირად ხდება, რომ მსაჯს ფეხბურთელები აგინებენ, მაგრამ იგი არანაირ რეაგირებას არ ახდენს. ასეთი დამოკიდებულებების შედეგად მსაჯს უკვე ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ.

**— სადისციპლინო კომიტეტის მუშაობაზე რას იტყოდით?**

— როცა დანაშაული აშკარაა, დამნაშავე შესაძლოა, სადისციპლინო კომიტეტის სხდომის გარეშეც დავსაჯოთ და თუ აპელაცია იქნება, ეს კომიტეტმა გაარჩიოს. უნდა გაიზარდოს საჯარიმო სანქციებიც და ეს სანქციები უშუალოდ კლუბებსაც უნდა შეეხოს. მაგალითად, „ვიტ ჯორჯია" სანიმუშო ყოფაქცევით გამოირჩევა და ეს პირველ რიგში იმაზე მიუთითებს, რომ კლუბი სწორ აღმზრდელობით სამუშაოს ატარებს. დისციპლინის საკითხი თვითონ კლუბებმაც უნდა დააყენონ სათანადო დონეზე. საჯარიმო სანქციები არ ასცდებათ დისციპლინის დამრღვევ მწვრთნელებსაც — გახშირდა მათი მხრიდან მსაჯების შეურაცხყოფის ფაქტები. მოკლედ, დისციპლინის და საჯარიმო სანქციების საკითხი პროფლიგის ყრილობაზე აუცილებლად დადგება.

**— ამ საქმეში სამართალდამცავ ორგანოებსაც მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ...**

— რა თქმა უნდა და ჩვენ ვაპირებთ შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრთან — მსაჯებმა ნორმალურ პირობებში უნდა იმუშაონ, სტადიონზე უსაფრთხოების სისტემა უნდა დახვეწონ. ისე, პოლიტიკური არეულობის დროს მხოლოდ ერთი მატჩი გადაიდო ასაკობრივ ლიგაში — ვფიქრობ, ეს პროფლიგის დამსახურებაცაა.

**— სტადიონების დისკვალიფიკაციის მომხრე ხართ?**

— არა, პირადად მე ამის მომხრე არ ვარ, რადგან ნორმალური სტადიონების და მოედნების დეფიციტია, განსაკუთრებით რაიონებში. აჯობებს, რომ კლუბებმა თავიანთ გულშემატკივრებთანაც იმუშაონ.

**— უმაღლესი ლიგის ათ გუნდამდე შემცირება — პროფლიგის ამ იდეას კლუბები როდის განიხილავენ?**

— თებერვლის ყრილობაზე. წამყვანი კლუბები ამის მომხრე არიან.

**დავით თავართქილაძე**





მსაჯებზე ისე ხშირად იწევენ, რომ, აგე, გორელებმა რა მოიფიქრეს: ერთი მსაჯი და ერთიც ბოდიგარდი-გარდმო

# კალაძეს დებიუ-ბოდიში ორიანი დაუწერეს

**იტალიური** სერია A-ს პირველი წრის ბოლო ტური მილანელი კახა კალაძისთვის უიღბლო და შარიანი გამოდგა. „მილან“ — „უდინეზეს“ (1:2) მატჩის მე-80 წუთზე „როსონერის“ ქართველი მცველი სტუმარ ფეხბურთელებს დაერია — ჯერ ფეხებში ჩავარდნით დააშავა ერთ-ერთ უდინელი, მერე კი მას გამოსარჩლებულ ვალერიო ბერტოტოს ხელი გაარტყა.

მსაჯმა ჩვენებურს, ცხადია, წითელი ბარათი აუფრიალა. კალაძემ კი ნერვები მალე მოთოკა, ბერტოტოსაც ვაჟკაცურად მოუბოდიშა და მოედანი დატოვა. შეგახსენებთ, რომ კახამ ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ იმ დღეს პირველად ითამაშა მიმდინარე სერია A-ში.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ეს საკითხი გუშინ განიხილა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ კალაძე გამოტოვებდა 6 იანვრის, მეორე წრის პირველი ტურის მატჩს ჩემპიონატის ლიდერ „რომასთან“. თუმც დისციპლინარებმა ქართველ მცველს ნამეტანი უხეშობა კიდევ ერთ მატჩად დაუსვეს. „მილანი“ კი თავის წილად 2 000 ევროს შეელევა.

**კახა ზალამბერიძე**



# სუსხიანი მხარე ხიზანას მხრისთვის

## დღეს ლამაზი გლაზგო ისვენებს



*ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში რეინჯერსელი ზურაბ ხიზანიშვილი „პანათინაიკოსთან“ ისე დაშავდა, შესაცვლელი შეიქნა. მას შემდეგ ზურას აღარ უთამაშია და გუშინ რომ დავურეკეთ, პირველ რიგში ტრავმაზე დავეკითხეთ*

— ძუნძული რა ხანია, დავიწყე, ხოლო ბურთიანად ვარჯიშს გუშინ შევუდექი.

**— მაგრამ, გუნდთან ერთად არ ვარჯიშობ?**

— არა, რადგან შეჯახებებს ვერიდები. მხრის ტკივილები კვლავაც მაწუხებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალას ვატან ან ცუდი ამინდია.

**— ექიმებმა გითხრეს, იანვრის ბოლომდე ვერ ითამაშებო — მათი დასკვნა არ შეცვლილა?**

— თამაშს ალბათ უფრო ადრე, იანვრის შუა რიცხვებისთვის შევძლებ. 3 იანვარს „სელტიკთან“ ჩემი თამაში კი გამორიცხულია.

**— სადაცაა, გლაზგოში შობა გათენდება...**

— აქ მართლაც ძალიან მაგარი სიტუაციაა, აქაურობა განსაკუთრებულად ლამაზი და თვალისმომჭრელია. შობა დღეს „რეინჯერსი“ ისვენებს, ყველა თავის ოჯახში შეხვდება დღესასწაულს. ერთად კი რეინჯერსელებმა რამდენიმე დღის წინ მოვილხინეთ რესტორანში — მაშინაც რელიგიური დღესასწაული იყო.

**დავით თავართქილაძე**

*მოსკოვის „სპარტაკში“ თითქმის ყოველდღე ახალ-ახალი ამბებია. იტალიელი ნევიო სკალას გამწვრთნელების შემდეგ კლუბში აქცენტი ტრანსფერებზე გადაიტანეს. ამ მხრივ არაფერი ემუქრება „სპარტაკის“ ქართველ მეკარე გიორგი ლომაიას. პირიქით, ნევიო სკალამ „სახალხო გუნდის“ ხუთი მეკარე უკვე „გაცხრილა“ და ძირითადი შემადგენლობისთვის ორი დაიტოვა — ლომაია და პოლონელი ვოიცეხ კოვალევსკი. გიორგის გუშინ შევეხმიანეთ...*

# ლომაიას იტალიელის ნამუსის იმედი აქვს

— მეკარეები „სპარტაკში“ ბევრნი კი ვიყავით, მაგრამ ბოლოს სამნი დავრჩით — მე, კოვალევსკი და ბაგი.

**— სკალას ბაგიზეც უთქვამს უარი...**

— ეს ამბავი ახლა გავიგე. ისე, ძირითადი შემადგენლობისთვის მაინც მე და კოვალევსკი ვიბრძოდით.

**— კოვალევსკის თავის დროზე ნევიო სკალასთან ერთად დონეცკის „შახტარში“ უმუშავია. ალბათ, ეს კიდევ ერთი ბარიერი იქნება შენთვის...**

— არა მგონია, ასე მოხდეს. ახლა მოსამზადებელი ეტაპი იწყება და ალბათ შანსს მეც მომცემენ. შეკრებაზე ბევრი ამხანაგური მატჩი გვაქვს დაგეგმილი და იქ უნდა გამოვიჩინო თავი. ვინც უკეთესად იქნება მზად, ის ითამაშებს.

**— სკალასთან საუბრის საშუალება არ მოგეცა?**

— არა, ფეხბურთელები უკვე შვებულებაში ვიყავით, სკალა რომ დაინიშნა მწვრთნელად. ეგ არ არის პრობლემა. სკალას კონტრაქტი აქვს „სპარტაკთან“ და, ცხადია, შედეგსაც მალე მოსთხოვენ. ჰოდა, ვერც წარმომიდგენია, უსამართლოდ დააყენოს ვინმე შემადგენლობაში. დარწმუნებული ვარ, შანსი მექნება და გამოვიყენებ კიდეც.

**— ხომ არ ფიქრობ, რომ „სპარტაკში“ ადაპტაცია ძალიან გაგიჭიანურდა?**

— არა, რატომ? შეიძლება უკეთესიცაა, ასე რომ მოხდა და ამდენი ხანი ვერ ვითამაშე. ეს უფრო მეტ სტიმულს მაძლევს, რათა ჩემი ძალა დავამტკიცო. კონკურენცია ფეხბურთელისთვის აუცილებელია, მის ზრდას უწყობს ხელს. თან კარი ხომ ისეთი პოზიციაა, რომ... ერთი სიტყვით, მზად ვარ, ძირითადში მოსახვედრად ბოლომდე ვიბრძოლო.

**— იმედიანად ჩანხარ...**

— ვიცი, რომ არაფერი დამეკარგება და იმიტომ. თუ მოვინდომებ, კარშიც ჩავდგები.

**— შეკრებაზე სად მიდიხართ?**

— ჯერ ანთალიაში. იქ „ეფესის თასზეც“ ვითამაშებთ, მერე კიდევ ორი-სამი უცხოური შეკრებაა დაგეგმილი.

**— ალბათ, მოსკოვშიც მალე მოგიწევს წასვლა...**

— 4 იანვარს იქ უნდა ვიყო. ორ-სამ დღეში ალბათ შეკრებაზეც წავალთ. ასე რომ, მთავარი ამბები ახლა მეწყება.

**კახა ზალამბერიძე**



# ქემოკლიძისთვის სატურნი უცხო პლანეტა არ არის



**საქართველოს** ნაკრებისა და თბილისის „ლოკომოტივის“ მცველი რევაზ ქემოკლიძე ალბათ რუსულ პრემიერლიგაში ითამაშებს. 24 წლის ფეხბურთელი უკვე რამდენიმე დღეა, „სატურნში“ ვარჯიშობს და იქაურთა მოწონებაც დაიმსახურა. ქემოკლიძემ ერთი-ორი ტესტ-მატჩის თამაშიც მოასწრო და, როგორც რუსული წყაროები ირწმუნებიან, კიდევ უფრო განამტკიცა „სატურნის“ თავკაცობის ზაფხულში შექმნილი აზრი. შეგახსენებთ, რომ ის „სატურნში“ უცხო არაა — ერთი ხანობა რამდენჯერმე ივარჯიშა და კლუბს ისე დაშორდა, რომ დეკემბერში მიწვევის პირობა წამოიღო და კარიერა თბილისის „ლოკომოტივში“ განაგრძო.

ქართველ ფეხბურთელსა და რუსული პრემიერლიგის მეშვიდეადგილოსან „სატურნს“ შორის კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულა, თუმც როგორც რეზოს ოჯახში გვითხრეს, იქაურები კმაყოფილნი არიან ჩვენებურით და, სავარაუდოდ, 30 დეკემბრისთვის პირობებზეც დაელაპარაკებიან. ამ ინფორმაციას რუსული „სპორტ-ექსპრესიც“ ამყარებს, რომლის თანახმადაც, „სატურნში“ 24 წლის ქართველი ფეხბურთელის ჩარიცხვას წინ არაფერი უდგას.

**კახა ზალამბერიძე**

# ამოიღებ ფულს, დახედავ შენს თავს...

## თარხნიშვილის მანი, მანი, მანი



**დაახლოებით** ერთ თვეში მოსკოვი „თანამეგობრობის თასის“ მორიგ გათამაშებას უმასპინძლებს. საშწლიანი პაუზის შემდეგ ტურნირში თბილისის „დინამოც“ მიიღებს მონაწილეობას. დინამოელთა გარდა, დსთ-ს ჩემპიონებში რამდენიმე „ქართული“ გუნდიც გაერია, რომელთაგან ამჯერზე შარშანდელ თასის მფლობელ ტირასპოლის „შერიფზე“ გეტყვით: ვაჟა თარხნიშვილის გუნდი მოლდოვაში წლეულსაც ყველასთვის მიუწვდომელია, დნესტრისპირეთის რესპუბლიკურმა ბანკმა კი ფეხბურთელები თავისებურად წაახალისა — გამოუშვა მონეტები, რომელზეც „შერიფის“ ფორმაში გამოწყობილი ფეხბურთელები არიან ამოტვიფრული. ეს აქცია ბანკმა კლუბის „თანამეგობრობის თასზე“ შარშანდელ წარმატებას მიუძღვნა.

ასე რომ, „შერიფის“ ქართველ კაპიტანს უკვე საკუთარი გამოსახულებიანი ფულით საყიდლებზე წასვლაც შეუძლია.

**კახა ზალამბერიძე**

# შეინი, რომელიც რაიანზე მეტია







*რაიან გიგზი გვიმტკიცებს, რომ უეინ რუნი საფეხბურთო ცის კაბადონზე გაცილებით ეფექტურად შემოიჭრა, ვიდრე იგი. გიგზმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში პირველად 18 წლისამ ითამაშა, ხოლო რუნიმ „ევერტონში“ 16 წლისამ მიიპყრო ყურადღება. გიგზომანია რუნიმანიამ გადასწონა*

**საინტერესოა**, რომ გიგზმა პირველად „ევერტონის“ წინააღმდეგ ითამაშა. ეს 1991 წელს მოხდა.

„უეინი უკვე ბევრჯერ შემადარეს. ეს იმიტომ ხდება, რომ იგიც თინეიჯერობისას შევარდა საფეხბურთო სამყაროში, როგორც მე. თან სულ მეკითხებიან, აინტერესებთ, რას ვფიქრობ რუნიზე. ჩემი პასუხი მარტივია — ის სხვა კლასისაა. იგი დებიუტისას ჩემზე ახალგაზრდა იყო, ხოლო რეზონანსი ჩემზე გაცილებით დიდი გამოიწვია. გასულ სეზონში, ოქტომბერში, როდესაც ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა, „ოლდ ტრეფორდზე“ საკმაოდ გვიან შემოვიდა მოედანზე, მაგრამ მისი საყოველთაო უნარი გამაოგნებელი გამოდგა. მასზე საერთოდ არ მოქმედებდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ, 64 ათასი მაყურებლის წინაშე თამაშობდა. ჩვენს გუნდში მაშინ ყველა მოხიბლული დარჩა“.

დღეს რუნი 18 წლისაა და პარასკევს ისევ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხვდება.

გიგზი: „დებიუტის დღიდან დღემდე უეინმა ყოველგვარი ფუსფუსის და ღელვის გარეშე განივითარა თავი. ის, რაც ამ ბიჭმა ბოლო თხუთმეტი თვის განმავლობაში შეძლო, დასაფასებელია“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 15 თვის განმავლობაში ერთ-ერთი თვალსაჩინო, რაც რუნიმ შეძლო, ინგლისის ნაკრებში გამოჩენა და გოლის გატანაა. ეს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში მოხდა, მაკედონიაში, სექტემბერში.

გიგზი: „მან მხოლოდ საყმაწვილოდან პრემიერლიგის ფეხბურთამდე კი არ გაიარა მანძილი, საყმაწვილოდან სანაკრებო დონემდე ამაღლდა. რასაც ვუყურებ, ვატყობ, რომ მისთვის სულერთია, ვის ეთამაშება და რა შეჯიბრებაში. იგი საგანგებო ნიჭითაა დაჯილდოვებული და ნებისმიერი მეტოქისთვის საშიშია. ხოლო რაც შეეხება მის ქცევას, რაც ბოლოხანს თითქოს სანერვიულო გახდა, მინდა გითხრათ, რომ ნერვიულობის საბაბი არ არსებობს. იგი აქაა და დღითიდღე გაძლიერდება“.

შემდეგ 30 წლის გამოცდილმა იუნაიტედელმა „ევერტონის“ მწვრთნელი, დევიდ მოიესიც შეაქო:

„რუნი ჩემი არ იყოს, იღბლიანია. მას კარგი მწვრთნელი ჰყავს, რომელიც უპატრონებს და თუ ცოტათი აურევს, არ დაანებებს. მოიესმა ამდენ ხანსაც კარგად დაიცვა უეინი და ეჭვი არაა მომავალშიც ასე გაგრძელდება. თან რუნის სჭირდება დამცველი როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ. მეც ასე მჭირდებოდა, ამას საკუთარი გამოცდილებით ვამბობ. გარდა ამისა, ვფიქრობ, მოიესი იმაშიც მართალია, მას ყოველ შეხვედრაში რომ არ ტვირთავს. მის ასაკში გადაწვა ადვილია. სეზონი დიდხანს გრძელდება, ხოლო რუნი ნიადაგ ფორმაშია საჭირო“.

**ბაჩუნა ძიდია**

## წარმოგიდგენთ დოკუმენტურ ფილმს

# დევიდი და ვიკა






## აი, კადრები!





ესეც დოკუმენტური ფილმი თემაზე, როგორ უყვართ ერთმანეთი დევიდ და ვიქტორია ბექემებს. თურმე ამ ჩვენს ვარსკვლავურ წყვილს კამერიანი კაცებისთვის ყველგან დევნის ნებართვა ექვსი თვით მიუციათ და შედეგიც ეკრანზეა. თუ გნებავთ გავიხსენოთ, რომ მისტერ ბექემი 28 წლისაა, ხოლო მისის ბექემი 29-ის, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

ფილმში არის ასეთი კადრი: პოშს საცურაო-საბაზანო თეთრი ხალათი აცვია, ბექემი კი გაშხლართულია და ხელი უბეზე უდევს, შემდეგ, ჩემო ბატონო, „რეალისა“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი „სფაი გელზის“ ყოფილი მომღერლის ფეხებს ბლუჯავს და ყვირის:

*მოდით ეს ყველაფერი ახლო პლანით გადაიღეთ.*

*— არა, არა, ფეხები არ გამოაჩინო — ყვირის პასუხად ცოლი მისი.*

აი, ასე უყვართ ბექემებს ერთმანეთი, ცხოვრება უხარიათ და ხუმრობენ.

ფილმში შედის ბექემის „მანჩესტერიდან“ „რეალში“ (25 მილიონ გირვანქად) გადასვლის ვნებათაღელვა და ის ამბავი, თუ როგორ ილებს ქმარი მადრიდში 23 ნომრიან მაისურას, ხოლო ცოლი ნიუ იორკში თავისი კარიერის საქმეზე როგორ დაჩალიჩობს.

კიდევ არის კადრი, როგორ კითხულობენ ვიკა და ვიკას დედა ჯეკი გაზეთს, სადაც წერია, რომ ბექემების ოჯახს ჰა-ჰა ექვსი თვე დარჩენია. სიდედრი და ცოლი ადამსები ცხადია, გაზეთს არ ეთანხმებიან.

შემდეგ დგება მწარე ემოციური მომენტი, როდესაც ვიკა აღიარებს, ბევრი მეგობარი არ მყავსო — კადრში ლაზათიანად ჩანს 4,5 მილიონ გირვანქიანი ესპანური სახლი, რომელიც გვარიანი წვალების შემდეგ შეარჩიეს (ამ ესპანეთში ხომ ადამიანის მოსაწონ სახლებსაც ვერ აშენებენ) და ცხადია, ხშირად ჩანან შვილები, ბრუკლინი და რომეო.

კიდევ, შენ ხარ ჩემი ბატონი, არის ის ამბავი, თუ როგორ ტირის ვიკა და ამბობს, ვაფრენ, მძულს, ვგიჟდები დევიდი სხვა ქალებს რომ ელაპარაკებაო. არის კადრი, თუ როგორ ელაპარაკება დევიდი ყოფილ და თითქოს მის „მანჩესტერიდან“ გამგდებ შეფს, ალექს ფერგიუსონს, ხოლო ქალი მისი მაღაზიებში დადის.

და ბოლოს (ეს უკვე ფილმის გარეთ), ვიკა ამბობს, რომ ვინაიდან საშობაოდ ქმარს ვერაფერს უყიდის (რა ჯანდაბა უნდა უყიდო მილიონერ დევიდს, რომ გააკვირვო ან გაახარო?), საჩუქრად ერთ ყუათიან სტრიპტიზს მოუწყობს.

არადა, იქვე აღიარებს, რომ მას თავისი ლეპტოპისთვის კეისი უთხოვია.

**ბაჩუნა ძიდია**



# სანდრას ქმარმა შობა ჩაუშხამა

**წუხელ** ინგლისში შობას აღნიშნავდნენ — ადათთა დაცვით, როგორც წესია, თუმცა ყველა წესს, მოგეხსენებათ, გამონაკლისიც ახლავს. გამონაკლისი რედნაპების ოჯახში იყო.

ჰარი რედნაპის „პორტსმუთი“ წინა უქმეებზე „საუთჰემპტონთან“ დამარცხდა და შინ მისულ მენეჯერს დანა პირს არ უხსნიდა. საშობაო სამზადისში გართულ მეუღლე სანდრას მხიარულება დაუწუნა და ჩვენს ოჯახში წელს შობა არ იქნებაო.

სანდრას ეს ამბავი არ გაჰკვირვებია, რადგან რედნაპის გუნდები შობის წინა თამაშებს თურმე სისტემატურად აგებენ. „ყოველ წელს ერთი და იგივე მეორდება“ — გაუმხილა სანდრამ „სანს“.

თავად რედნაპმა კი საზეიმოდ დაიფიცა: „ღმერთს ვფიცავ, ჩემი ცოლის მომზადებულ საშობაო ვახშამს პირს არ დავაკარებ“.

ამგვარი განცხადების მიუხედავად, ჰარი რედნაპმა „სანის“ ნაჩუქარი ნუგბარი და ბოთლეულობა სიამოვნებით მიიღო და სახეზე ღიმილის მაგვარი რაღაც დაეტყო.

**ირაკლი ნინიძე**



# ვინ თქვა ნედვედის პირველობა?!

## ტოტის რჩეული ნისტელროოი, ანრი და ფრანჩესკო ტოტია

*პაველ ნედვედი ევროპის 2003 წლის საუკეთესო ფეხბურთელად სულ სამი-ოთხი დღის აღიარებულია და უკვე 2004 წლის საუკეთესო ფეხბურთელზე ალაპარაკდნენ. ბუნებრივია გაგიკვირდებათ, ვინ იცის ჯერ არდამდგარ წელიწადში ვინ როგორ ითამაშებს, მაგრამ ეგ ერთი თემაა, მეორე კი საზოგადოების ფსიქოლოგიური შემზადება გახლავთ და საზოგადოება შეეგუოს იმ აზრს, რომ გაისად ყველას „რომას" ლიდერი ფრანჩესკო ტოტი აჯობებს, მით უფრო, რომ ტოტი მართლაც ძლიერი ფეხბურთელია*

„ნედვედი წლის საუკეთესო ფეხბურთელობას არ იმსახურებდა — აი, ასე განაცხადა თავად ტოტიმ — მესმის, რომ წლეულს რამდენიმე კარგი რამ გააკეთა, მაგრამ ტექნიკურად მასზე უკეთესი მოთამაშეებიც არიან. ვფიქრობ, ჯილდო ერთ-ერთ იმ ფეხბურთელთაგანს უნდა მიეღო, რომლებიც მაყურებელს შოუს უწყობენ, მე კი რომ ვერ გავიმარჯვე, მაინცდამაინც არ დავდარდიანებულვარ. ერთადერთი რაც შემიძლია, გაისად უკეთ თამაში გახლავთ".

და მაინც, ტოტის გვარების დასახელება სთხოვეს.

„მე, მაგალითად, ჯილდოს რუუდ ვან ნისტელროის მივცემდი, სამეულში კი ჩემს თავს და ტიერი ანრის ჩავწერდი. ვიღაცამ, სხვათა შორის, ფიფას გამოკითხვაში, სადაც ხმას მწვრთნელები აძლევენ, ჯენარო გატუზო ჩაწერა. ეს რომ წავიკითხე, იმ მწვრთნელის გონებრივი მდგომარეობის გამო სერიოზულად შევშფოთდი" — უპასუხა „რომას" ლიდერმა.

ცნობისთვის: „მილანის" ნახევარმცველი ჯენარო გატუზო მწვრთნელთა გამოკითხვაში მესამე ადგილზე ტურკსის და კაიკოსის კუნძულების ეროვნული გუნდის თავკაცმა პოლ კროსბიმ ჩაწერა, მისი სამეული იყო ანრი, ლარსონი, გატუზო.

სხვათა შორის, ფრანჩესკო ტოტის მხარი დაუჭირა ფრანგული ფეხბურთის ლეგენდამ, მიშელ პლატინიმ:

„იმ წლებში, რომლებშიც მსოფლიოს ჩემპიონატი არ თამაშდება, ტრადიციისამებრ ჩემპიონთა ლიგის მონაწილე ფეხბურთელები იპყრობენ ყურადღებას. „რომას" ევროპული სარბიელი აკლია და ამიტომ ტოტი გამარჯვებულთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ გარწმუნებთ, 2004 წელს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, ყველა სხვანაირად ალაპარაკდება".

ტოტი: „ოდესმე დიდი სიამოვნებით გადავიდოდი მადრიდის „რეალში", მაგრამ მანამდე „რომასთან" ერთად რამდენიმე ჯილდოს მოგება მაქვს დაგეგმილი".

თუმცა იმასაც ამბობენ, რომ თუ ტოტი „რომას" ერთგულებს, დიდი ჯილდოს გარეშე დაასრულებს კარიერას.

ხოლო „რომას" მწვრთნელი ფაბიო კაპელო ტოტის ზინედინ ზიდანს უტოლებს.

„ნიჭიერების სკალაზე ფრანჩესკო ზიდანის გვერდით დგას. გაოგნებული ვარ, რომ მასზე მხოლოდ იტალიაში ლაპარაკობენ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მის ნიჭს უცხოეთში ვერავინ ხედავს. დღეს ტოტი ფიზიკურად დასრულდა, ნიჭის გამომჟღავნებას უკვე სრულყოფილად ახერხებს და ამასთან, გამარჯვებები სწყურია. მისი მონდომება თანაგუნდელებს ედებათ. მოკლედ, მისი კლასი ეჭვს არ იწვევს და თუ 2004 წელს ევროპის ჩემპიონატზეც ითამაშებს წარმატებით, წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდება" — აცხადებს ტაქტიკოსი.

**პაპუნა ქადია**

# პაოლო როსის ვერსია

## ანჩელოტი გადაცმული ბერლუსკონია



**პაოლო როსიმ** საშობაო არდადეგებზე კბილები აილესა და „მილანს" გაჰკრა...

„რომამ" კონკურენტებისგან ბრწყინვალე საჩუქრები მიიღო: „იუვენტუსმა" „ლეჩესთან" დაუგეგმავი ორი ქულა დაკარგა, „მილანმა" კი — სამი. შედეგად, ფაბიო კაპელოს გუნდმა საახალწლოდ მდევართან სხვაობა ექვს ქულამდე გაზარდა.

...„შავ-წითლებმა" საკონტინენტთაშორისო თასი ვერ მოიგეს და ქომაგები გააწბილეს, ხოლო კარლო ანჩელოტი „უორლდ სოკერის" ვერსიით წლის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა. მან მარჩელო ლიპიზე ორჯერ მეტი ხმა მოაგროვა და ეს მხოლოდ იმის წყალობით, რომ „მილანმა" „იუვე" ჩემპიონთა ლიგაში პენალტებით დაამარცხა.

...ინგლისური ჟურნალისგან ანჩელოტის აღიარებას სხვა არგუმენტებს ვერ მოუძებნი, არადა, „იუვენტუსმა" 2003 წელს სკუდეტოც მოიგო და „შავ-წითლებს" თამაშის ხარისხითაც აჯობა.

...თუ წლის საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო „მილანის" მწვრთნელს ეკუთვნის, მაშინ სჯობს, იგი სილვიო ბერლუსკონის გადასცენ. სწორედ ისაა „მილანის" მწვრთნელი. უკვე დიდი ხანია, ანჩელოტის მწვრთნელობაზე იტალიაში ირონიით საუბრობენ. საამისოდ დამატებითი საბაბი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ქვეყანაში ჟურნალისტ ბრუნო ვესპის წიგნი გამოვიდა. ვესპის თავისი წიგნის ფურცლებზე საინტერესო ფაქტები მოჰყავს ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის გარშემო, რომელშიც „მილანმა" „იუვენტუსს" სძლია. ჟურნალისტის თქმით, ფინალამდე კარლო ანჩელოტიმ სილვიო ბერლუსკონისგან წერილობით მითითება მიიღო, თუ ვინ, სად და როგორ უნდა ეთამაშა გუნდში. მეტიც, წერილში ისიც კი იყო აღნიშნული, საჯარიმო და კუთხური ვის უნდა შეესრულებინა.

**ვაჟა ხუციშვილი**



თქვენ ეს კაცი კარლო ანჩელოტი გგონიათ? პაოლო როსი ამტკიცებს, რომ იგი სილვიო ბერლუსკონია

# პრინცი გაუჩის არ დანებდა

## პერუჯას პრეზიდენტს ქალები არ სწყალობენ

**ბრიგიტ პრინცი** ფეხბურთელი ქალია, გერმანელი, ფიფას მიერ წლის საუკეთესო მოთამაშედ არჩეული, მაგრამ მისი კლასისა და ოსტატობის მიუხედავად, ჩვენთვის, ვაჟთა ფეხბურთის მოყვარულთათვის, მისი სახელი (აქამდე მაინც) ნაკლებად იყო ცნობილი. პრინცის გვარის ტრიალი მას მერე ატყდა, რაც მისი შეძენა „პერუჯას" პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ გადაწყვიტა. გაუჩი ის ადამიანია, მარად უცნაური რეფორმებისა და ნაბიჯებისკენ რომ გაურბის გონება. მოგეხსენებათ, გასულ ზაფხულს მან შეიძინა ლიბიელი დიქტატორის მოამარ კადაფის ვაჟი, ალ სადი, რომელიც შემდეგ ერთი შეხვედრის ჩაუტარებლად ნანდროლონის მიღებაზე ჩავარდა და დისკვალიფიკაციით დაისაჯა. კადაფი უმცროსის ყიდვის შემდეგ სინიორ გაუჩის თავის კაცთა გუნდში ქალი მოთამაშის ხილვა მოუნდა და ზემოხსენებულ ბრიგიტ პრინცს დაუკავშირდა.

„სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მე არ მაინტერესებს — განაცხადა პასუხად 26 წლის თავდამსხმელმა — კარგა ხანი ვიფიქრე დავთანხმებოდი თუ არა „პერუჯას" წინადადებას და სპორტული მოსაზრებების გამო საბოლოოდ უარის თქმა გადავწყვიტე. მე ფეხბურთი ძალიან მიყვარს საიმისოდ, რომ კაცთა გუნდში, ხანგამოშვებით, ორ-ორი წუთით თამაშს დავყაბულდე".

ხმათა თანახმად, უმბრიელები გერმანელს 18 თვის განმავლობაში დაახლოებით 1,2 მილიონი დოლარის ტოლფას გასამრჯელოს სთავაზობდნენ.

ამრიგად, ბრიგიტ პრინცი მესამე ქალია, რომელმაც ლუჩანო გაუჩის ექსპერიმენტზე უარი განაცხადა. პირველი და მეორე იყვნენ ჰანა ლიუნგბერგი და ვიქტორია სვენსონი, ორივე შვედი.

რის საფუძველზე აპირებდა სინიორ გაუჩი ვაჟთა გუნდში ქალის ათამაშებას? იმის საფუძველზე, რომ ამას არანაირი კანონი არ კრძალავს, თუმცა ერთი ხნის შემდეგ შეიძლება ასეთი კანონი გამოჩნდეს. როგორც ჩანს, საჭირო ყოფილა.

რაც შეეხება კაც ფეხბურთელს, ასეთი („პერუჯასთვის" სასურველი) გახლავთ მასიმო მაკარონე, რომელიც ამჟამად ინგლისურ „მიდლსბროში" თამაშობს. საერთოდაც, ლუჩანო გაუჩის თურმე მხოლოდ ქალები როდი უნდა, ამ შობა-ახალწელიწადს ექვსი-შვიდი კაცის შეძენასაც ფიქრობს. აღსანიშნავია, რომ ზისის ფრიზასის „ფიორენტინასთვის" მიყიდვაზე ყაბულის შემდეგ „პერუჯას" უთუოდ სჭირდება თავდამსხმელი, ასეთი კი ზემოთ ნახსენები, 24 წლის მაკარონეა.

სხვა შესაძლო პერუჯელები გახლავან: იგლი ტარე, „ბოლონიას" ალბანელი ფეხბურთელი და ნიკოლა ვენტოლა, რომელიც ამჟამად „სიენაშია". იტალიური გაზეთების ცნობით, „პერუჯა" რამდენიმე კაცის თაობაზე „ინტერს" ელაპარაკება. არ არის გამორიცხული, ეს კაცები თომას ჰელვეგი, გიორგიოს კარაგონიუსი და ოქან ბურუქი იყვნენ.

**პაპუნა ქადია**





ბრიგიტ პრინცმა ჰანა ლიუნგბერგის მსგავსად ლუჩანო გაუჩის უარი შეუთვალა

# ოტო კაცია და კაცურადაც ხვრინავს

## რეჰაგელი ცოლს 40 წელი წვრთნის



*რამდენიმე დღეში განთქმული გერმანელი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი და მისი მეუღლე ბეატე ქორწინების მეორმოცე წლისთავს იზეიმებენ. ჰერ ოტო თავად 65 წლისაა, ამჟამად საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებს თავკაცობს და ჩვენებურ მკითხველთა ინტერესს იმის გამოც იმსახურებს, რომ მომავალი მსოფლიოს პირველობის შესარჩევ ეტაპზე ქართველებს მის მიერ გაწვრთნილ გუნდთან პაექრობაც მოგვიხდება.*

*„ბილდის" კითხვებს ერთმანეთს ტკბილად შებერებული ცოლ-ქმარი იმ დღეს წყვილად გაეპასუხა. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ პირველი პასუხი ქვემოთ ნიადაგ ფრაუ ბეატესია*

**— ორმოცი წელი დიდი დროა. რაიმე საიდუმლო ხომ არა გაქვთ?**

— ჩვენი საიდუმლო ის არის, რომ ერთმანეთი პირველი დღიდანვე გვიყვარს და პატივს ვცემთ.

**— კარიერისას მრავალი ტიტული თუ თასი მომიხვეჭია, მაგრამ ბეატეს მაინც ჩემს უდიდეს წარმატებად ვთვლი. და ეს ყოველთვის ასე დარჩება.**

**— როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— ეს 1961 წელს მოხდა, ერთ-ერთ ჰესენურ საციგურაოზე. მე დაქალებთან ერთად ვიყავი, ოტო კი თანაგუნდელებთან ერთად. სრულიად შემთხვევით შევხვდით.

**— როგორი იყო პირველი შთაბეჭდილება?**

— გავიფიქრე, მაგარი ბიჭი ჩანს-მეთქი.

— ცხადია, ბეატე მყისვე მომეწონა. მაგრამ საიმდროოდ უკვე შეყვარებული ვიყავი — ფეხბურთზე! ამიტომ საიმისოდ, რათა ფეხბურთზე მეტად ბეატე შემყვარებოდა, ორი წელი მაინც დამჭირდა — ცოლად სწორედ მაშინ მოვიყვანე.

**— ხშირად ჩხუბობთ ხოლმე?**

— სიამოვნებით ვეჩხუბებოდი, მაგრამ ოტო არანაირ შანსს არ იძლევა.

— ცხოვრება ისედაც გიჟურად მიჰქრის, ჩხუბი კი დროის ფუჭი კარგვაა.

**— ბევრ წყვილს უსიამოვნება თუნდაც იმის გამო მოსდის, რომ ცოლს, ვთქვათ, ქმრის ხვრინვა აწუხებს.**

— ჰო, ოტო მართლაც კაცურად ხვრინავს, თუმცა უცოდველი ამ თვალსაზრისით არც მე ვარ. ამიტომ უკვე რახანია, სხვადასხვა საძინებლებში გვძინავს. ოტო ამბობს, რომ საწოლები ადამიანებს დასაძინებლად სჭირდებათ, სასიამტკბილოდ და საალერსოდ კი ნებისმიერი ადგილი გამოდგება.

— მე მგონი, ბეატემ ამომწურავი პასუხი გაგცათ.

**— ჰერ რეჰაგელის კარიერაში ყველა ცუდი მომენტი რომელი იყო?**

— კლუბიდან პირველად რომ გააგდეს. ეს ოფენბახში მოხდა. ჩემი აზრით, ოტო მაშინ სრულიად უდანაშაულო იყო. დააბრალეს, მსაჯი გალანძღეო. იმის გამო, რომ მოწმედ ბევრი დაუდგა, მაშინ გადარჩა, მაგრამ კლუბი ჩასაფრებული იყო და საბაბიც მალე უპოვნეს...

— იმ ამბავს მეც ძალიან ცუდად ვიგონებ. კლუბებიდან მერეც ხშირად გავუშვივარ, მაგრამ გული ეგრე აღარასოდეს დამწყვეტია — უკვე გამობრძმედილი ვიყავი.

**— ერთმანეთს როგორ მიმართავთ ხოლმე?**

— მე „მწვრთნელს" ვეძახი, სახლშიც და საჯაროდაც. ამით ვცდილობ, პატივისცემა გამოვხატო მისი სამუშაოსადმი.

— მას უბრალოდ სახელით მივმართავ. აქვე უნდა გითხრათ, რომ ბეატე ჩემი უპირველესი და საუკეთესო მრჩეველია. მისი დახმარების გარეშე ყველაფერი ამის მეათედსაც ვერ მივაღწევდი.

**— როგორ ფიქრობთ, როდემდე გასტანს თქვენი ერთობლივი „სამწვრთნელო" მოღვაწეობა?**

— ოტომ იმ დრომდე უნდა იმწვრთნელოს, სანამდეც სიამოვნებს. მე კი ყოველთვის მის გვერდით ვიდგები — დამარცხებაშიც და გამარჯვებაშიც.

— რაკილა საბერძნეთის ნაკრები ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ასე სენსაციურად გავიდა, მინდა, იქაც რიგიანად გამოვიდეთ. უმთავრესი ახლა ჩემთვის სწორედ ეს არის.





# მომავლის გუნდი

## ბაიერნის ბაგა-ბაღში მატჩებაა

*მიუნხენის „ბაიერნს" ბოლო წლებში იმდენი ფეხბურთელი არ შემატებია, რამდენიც — ფეხბურთელთა ბავშვი. რაკილა ალუების რიცხვმა ოტმარ ჰიცფელდის სამწყსოში უკვე თერთმეტს უწია, იქაურმა ჟურნალისტებმა მათგან 2025 წლის „ბაიერნის" სავარაუდო შემადგენლობა დაასახელეს*













**ყველაზე** უმცროსი მომავლის „ბაიერნში" როკე სანტა კრუზისა და მისი მეუღლის, ხისელეს ერთკვირიანი ბალღი ტობიასია, ყველაზე უფროსი კი მიხაელ ბალაკის მემკვიდრე ლუისი, რომელიც უკვე ორწლინახევრის ბიჭუკელა გახლავთ. ამბობენ, უფროსობის კვალობაზე ლუისს კაპიტნობაც ერგებაო.

გუნდში გოგოებიც არიან — ჟურნალისტები არ გამორიცხავენ იმას, რომ ოცი წლის შემდეგ კაცების გვერდით ბუნდესლიგაში ქალებიც ითამაშებენ. გოგონათა შორისაა კაიზერ ფრანცის ორი თვის ფრანცისკა-ანტონელაც, ვისაც — მამიკოს თქმით — ისეთი მჭახე ხმა ჰქონია, როგორიც ცენტრალურ მცველს სჭირდება ბითურად მოთამაშე თანაგუნდელებს რომ შეუძახოს.

დაცვის ცენტრში ჟურნალისტები ფრანჩესკას სამუელ კუფურის ვაჟს, სამუელ უმცროსს უწყვილებენ. თუმცა თავად მამა კუფური ვარაუდობს, რომ მისი ბიჭი ზიდანს უფრო წაავავს, ვიდრე მას — ცხადია, საფეხბურთო მონაცემების ამბავში!

**ლევან ძელაურაძე**



*ამსტერდამის „აიაქსის“ 20 წლის ვარსკვლავი რაფაელ ვან დერ ვაარტი ესპანურ „ბარსელონაში“ გადასვლაზე ოცნებობს. მიუხედავად იმისა, რომ პრიმერას გრანდისა და ჰოლანდიელის აგენტი ოფიციალურად არ შეხვედრიან, ვან დერ ვაარტის პირინეულ სიმპათიებს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით შესაძლებელია, „ბარსამ“ დამდეგი 2004-ის დასაწყისში მორიგი „მფრინავი ჰოლანდიელი“ შეიძინოს. რაფაელ ვან დერ ვაარტს კატალონიური „სპორტი“ ესაუბრა*

# ვან დერ ვაარტს ბაბუაც კი ბარსას ფანი ჰყავდა

**— ბარსელონურმა ინჩადამ ამსტერდამის შარშანდელ ტურნირზე გაგიცნოთ — მაშინ კარლეს პუიოლმა ვერაფრით შეძლო თქვენი შეჩერება...**

— კარგად მახსოვს ის მატჩი, რიგიანად ვითამაშე და ორი გოლიც გავიტანე.

**— მოკლედ მოგვითხრეთ იმ თამაშის შემდგომი თქვენი კარიერის შესახებ...**

— ვარ „აიაქსში“, სადაც მშვენივრად ვგრძნობ თავს და ქომაგთა გულის გასახარად ჩემს ანგარიშზე უამრავი გოლი ირიცხება. ჰოლანდიის ნაკრებში მიწვევამაც მხოლოდ სიკეთე მომიტანა. უგოლოდ მოედანს იქაც იშვიათად ვტოვებ.

**— ამას წინათ „ფეიენოორდთან“ გასაოცარი სილამაზის გოლი შეაგდეთ. ჰოლანდიურმა მედიამ ხუმრობით ზებუნებრივი ძალაც კი მოგაწერათ. მსგავსი რამ თქვენს სათამაშო პრაქტიკაში ხშირად ყოფილა?**

— მართლაც დაუჯერებელი დარტყმა გამოვიდა. ხანდახან ისეც ხდება, რომ მოულოდნელად უჩვეულო რაღაცას გავაკეთებ ხოლმე. თუმცა, რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ გულშემატკივართა აღფრთოვანება რომ შევძელი.

**— პრესასთან შეხვედრისას „აიაქსიდან“ წასვლის აუცილებლობას აღნიშნავთ. რატომ გადაწყვიტეთ ამსტერდამის დატოვება?**

— ჰოლანდიაში უკვე მივაღწიე იმ მწვერვალს, რომლის დაპყრობის შემდეგ სხვა, უფრო ძლიერი ევროპული ლიგებისკენ გაურბით თვალი. ჩემს შემთხვევაში ეს ახალი სარბიელი ესპანური პრიმერა და კერძოდ „ბარსელონა“ იქნება.

**— გეტყობათ, რომ „კამპ ნოუს“ ინჩასთა არმადასმიეკუთვნებით. ხომ ვერ აგვიხსნით ამის მიზეზს?**

— დედაჩემის მამა „ბარსას“ მგზნებარე ფანი გახლავთ. მეც, ოჯახური გარემოდან გამომდინარე, არასოდეს ვმალავდი კატალონიური გრანდის სიყვარულს. ცხადია, ესპანეთში თუ წავალ, იქ მარტო „ბარსელონაში“ ვითამაშებ.

**— ევროპული პრესტიჟული ლიგებიდან რომელს გამოარჩევდით?**

— უპირველეს ყოვლისა, პრიმერადივიზიონს. ესპანური ფეხბურთი განსაკუთრებული ფენომენია, იქაური კლუბები საკმარისად ძლიერნი არიან იმისთვის, რომ თითქმის ყოველი ტურის განმავლობაში ჩემპიონატმა დაძაბულობა და შესაბამისი ინტრიგა შეინარჩუნოს. ამ მხრივ, ჰოლანდიაში სრულიად განსხვავებული სიტუაციაა. ოდენ 2-3 ლიდერის არსებობა ჩვენს პირველობას ვერაფრით ამდიდრებს. პირინეებზე კი „რეალი“, „დეპორტივო“, „ვალენსია“, და ბევრიც სხვა თუმც მე მაინც „ბარსას“ ერთგული ვრჩები.

**— ლაპორტას წარმომადგენლე-**



**ბი ჯერ არ დაგკავშირებიან?**

— ჯერჯერობით არა... ვნახოთ, უახლოეს მომავალში რა მოხდება.

**— სხვა კლუბებიდან თუ გაქვთ შემოთავაზებები?**

— სერიოზული არაფერი. ვიცი, რომ „აიაქსმა“ რამდენიმე ემისარი მიიღო, მაგრამ საყურადღებო არაფერი ყოფილა.

**—კატალონიაში გადასვლის შემთხვევაში იქ დიდ კონკურენციას წააწყდებით. „ბარსაში“ თქვენს პოზიციაზე ხომ არც მეტი, არც ნაკლები, თავად რონალდინიო აგორებს ბურთს...**

— მერე ვინ გითხრათ, რომ ეს პრობლემას შემიქმნის? ცენტრი, მარჯვენა და მარცხენა ფლანგები — ყველგან მოვახერხებ რიგიანად თამაშს. მე და რონალდინიო ერთმანეთს ხელს არ შევუშლით.

**— ფრანკ რაიკარდს თუ იცნობთ?**

— ორიოდე კვირის წინ სარეკლამო საქმეებზე ვიყავი ბარსელონაში და რაიკარდთან იქ ვისაუბრე. თავაზიანი და წყნარი კაცია, თანაც ძლიერი პროფესიონალი. მისი და ჩვენი დამრიგებლის, რონალდ კუმანის სამწვრთნელო სტილში ძალიან დიდ მსგავსებას ვხედავ.

**— ძველი კატალონიური გვარდია — კუმანი, ვან გაალი და ლიტმანინი თუ გესაუბრებიან ბარსელონური „თავგადასავლების“ შესახებ?**

— არც ისე ბევრს, მაგრამ პრიმერას და „ბარსას“ მნიშვნელობა მათ ამიხსნეს. მაგალითად, ლიტმანენი მეუბნება, რომ იქ ბურთაობა ერთდროულად ურთულესიცაა და ბრწყინვალეც.

**— ესე იგი, კატალონიურ ფერებში გამოწყობილი რაფაელ ვან დერ ვაარტის ნახვა სულ მალე შეიძლება მოხერხდეს...**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ... მგონი, ჩემი ოცნება ახლა ყველაზე იოლი განსახორციელებელია. მცირეოდენი ცდა და მოთმინებაა საჭირო.



რაფაელ ვან დერ ვაარტს „ბარსელონასთან“ ამსტერდამული შეხვა კარგად ახსოვს

# ბირჩმა სამუშაოდ ჭორი მოკლა

## ვიდუკა და სმიტი ფანჯარაში არ გაქვრებიან





ჯონ მაკენზის გაფუჭებულ საქმეს ტრევორ ბირჩი ასწორებს

**რა ელის** „ლიდსს“, რომელსაც 80 მილიონი გირვანქა ვალი დაუგროვდა? გასულ კვირას კლუბის თავმჯდომარე ჯონ მაკენზის თანამდებობა იმიტომ დაატოვებინეს, რომ პოტენციურ ინვესტორთან მორიგება ვერ შეძლო. არადა, გუნდს ფული სასწრაფოდ სჭირდება.

მაკენზის ადგილი ტრევორ ბირჩმა დაიკავა. იგი მანამდე აღმასრულებელ დირექტორად მუშაობდა. ახალმა თავმჯდომარემ წლის ბოლოს აქციონერებთან ტრადიციული შეხვედრა მოაწყო. კლუბის აქციონერებმა ბირჩს სამომავლო გეგმების შესახებ ჰკითხეს.

„ეს იყო ძალიან დროული და საჭირო შეხვედრა. თავმჯდომარემ თქვა, რომ მარკ ვიდუკა და ალან სმიტი იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისას არ გაიყიდებიან, რითაც ბოლო მოუღო ყველა ჭორს ამ ფეხბურთელების წასვლა-დარჩენის თაობაზე“ — განაცხადა „ლიდსის“ გულშემატკივართა კლუბის უფროსმა რეი ფელმა.

აქციონერებმა ჯონ მაკენზის (რომელმაც თავის მხრივ, შარშან აპრილში პიტერ რიდსდეილი შეცვალა) პრეტენზიები წაუყენეს, ჩვენი 300 ათასი გირვანქა გმართებსო და ისიც გაუხსენეს, თუ როგორ იაფად გაასხვისა ჰარი კიუელი, რითაც „ლიდსმა“ 3 მილიონი გირვანქა დაკარგა.

შეხვედრაზე კიდევ ერთი კაცი, დირექტორთა საბჭოს ყოფილი წევრი ალან ლეიტონიც შეახურეს, ძველ თავმჯდომარესთან ერთად კლუბის გაღარიბებაში ბრალი შენც მიგიძღვისო. ლეიტონი ამჟამად „ლიდსის“ ერთ-ერთი პოტენციური მყიდველია, მაგრამ საეჭვოა მასთან საქმე დაიჭირონ. „თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გაითავისოს, რომ უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდის დაშლა არ შეიძლება“ — დასძინა რეი ფელმა.

„ლიდსის“ ყიდვის სურვილი ბაჰრეინელმა შეიხმა აბდულრაჰმან ბინ მუბასაკ ალ ჰალიფამ გამოთქვა, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ სურვილია. იორკშირულ კლუბს 19 იანვრამდე აქვს ვადა ინვესტორის მოსაძებნად. წინააღმდეგ შემთხვევაში „ლიდსი“ ადმინისტრირების მეთოდით საგადასახადო სამსახურის ხელში გადავა და ისინი სალაროში შესულ-გამოსულ თითოეულ პენსს გააკონტროლებენ, რათა კლუბი საბოლოოდ არ გაკოტრდეს.

**გაგა ხუციშვილი**

# ლევის შემოსავალი

## მამლის საახალწლო ფასი ბირჟაზე

**„ტოტენჰემმა“** გასულ ზაფხულს ფეხბურთელების შესაძენად 12 მილიონი გირვანქა დახარჯა. „მამლებმა“ სამი ფორვარდი შეიძინეს: ფრედერიკ კანო, ელდერ პოსტიგა და ბობი ზამორა. მიუხედავად ამისა, გუნდის თამაშის ხარისხი არ გაუმჯობესებულა. „ტოტენჰემი“ სექტემბერშივე ცხრილის ფსკერზე ტივტივებდა და მაშინ მთავარი მწვრთნელი გლენ ჰოდლი პოსტიდან გაათავისუფლეს.

მის ნაცვლად დევიდ პლიტი დანიშნეს, რომელმაც გუნდის ოდენ მე-15 ადგილზე აყვანა მოახერხა. კლუბის ბოსები პლიტის დატოვებას სეზონის ბოლომდე აპირებენ და იანვარში ფეხბურთელების შეძენა სურთ. საამისოდ „ტოტენჰემი“ ბირჟაზე 60 ათას აქციას გასაყიდად გაიტანს, თითოეულის სავარაუდო ფასი 250 გირვანქა იქნება. შემოსავალი დაახლოებით 15 მილიონ გირვანქას შეადგენს, რაც კლუბის თავმჯდომარის, დანიელ ლევის აზრით: „მოგებული თანხა ფინანსურად გაგვაძლიერებს, უფრო სტაბილურს გაგვხდის და ერთიორი ახალი, მაღალი კლასის მოთამაშის ყიდვაში დაგვეხმარება“.

აქციების შეძენის მსურველებმა კლუბს 19 იანვრამდე უნდა მიმართონ.

**გაგა ხუციშვილი**

# დააკელი, რივალდო!

**ევროპიდან** სამშობლოში დაბრუნებული რივალდო კვლავ გუნდის ძიებაშია. რივალდოსთვის საკუთარი გუნდის მაისურის მორგება ბევრს სურს, მაგრამ თითო-ოროლას თუ ძალუძს.

„სან პაულუს“ ძალიან ეწადა მილანელყოფილის გადაბირება. კლუბმა ფეხბურთელს თვეში 80 ათასი დოლარი შესთავაზა. „სან პაულუს“ დირექტორმა ჟუვენალ ჟუვენსიომ თქვა: „ჩვენ მეტის გადახდა არ შეგვიძლია, რადგან ჯიბე ამის საშუალებას არ გვაძლევს. რივალდო უდიდესი და ძვირფასი ფეხბურთელია. თუ ამ პირობებზე დაგვთანხმდება, უკეთესს რაღას ვინატრებთ, მაგრამ მეეჭვება, რომ ეს გარიგება შედგეს“.

ჟუვენალ ჟუვენსიოს ტრანსფერის გასაჩარხად და რივალდოსთვის გაცილებით მაღალი ხელფასის გადასახდელად მავანი სპონსორის ეიმედებოდა, თუმც სპონსორმა ბოლო წამს ქუდი დაიხურა და წავიდა.

**გაგა ხუციშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა

**XVIII ტური**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 001 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 002 | არსენალი-ვულვერჰემპტონი 0:1 | | 1,4 | 3,8 | 4,2 | | |
| 16.00 | 003 | ფულემი-საუთჰემპტონი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 16.30 | 004 | ჩარლტონი-ჩელსი | 4,6 | 3,4 | 1,7 | | | |
| 19.00 | 005 | ბირმინგემი-სიტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 006 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 007 | ლიდსი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 008 | ლესტერი-ნიუკასლი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 19.00 | 009 | ლივერპული-ბოლტონი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 010 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 011 | მანჩესტერი-ევერტონი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| 19.00 | 012 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

ინგლისი

**I დივიზიონი. XXV ტური**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 027 | კარდიფი-უოლსოლი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 028 | ქოვენტრი-შეფილდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 029 | ქრიუ-ბარნლი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 030 | კრ. პალასი-მილუოლი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 031 | ჯილინგემი-უოტფორდი | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 032 | რედინგი-უიმბლდონი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 19.00 | 033 | სტოკი-პრესტონი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 19.00 | 034 | სანდერლენდი-ბრედფორდი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| 19.00 | 035 | ვესტ ბრომვიჩი-დერბი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 036 | ვესტ ჰემი-იფსვიჩი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 19.00 | 037 | უიგანი-როტერჰემი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 21.35 | 038 | ნორვიჩი-ნოტინგემი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |

ინგლისი

**II დივიზიონი. XXIII ტური**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 056 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 17.00 | 057 | ბრაიტონი-უიკომბი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 19.00 | 058 | ბლეკპული-ტრანმერი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 059 | ბორნმუთი-პლიმუთი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 19.00 | 060 | ჩესტერფილდი-პიტერბრო | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 061 | კოლჩესტერი-ლუტონი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 062 | გრიმსბი-ოლდემი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 063 | ჰარტლპული-ბარნსლი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 19.00 | 064 | ნოტსი-ქუინზ პარკი | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 19.00 | 065 | რაშდენი-სუინდონი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 066 | უენსდი-პორტ ვეილი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 067 | სტოკპორტი-რექსემი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |

ინგლისი

**III დივიზიონი. XXIII ტური**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 086 | დონკასტერი-სკანთორპი | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 17.30 | 087 | ტორკი-სუონსი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 19.00 | 088 | ბოსტონი-ლინკოლნი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 089 | როვერსი-ნორთჰემპტონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 090 | ბერი-კარლაილი | 1,4 | 3,8 | 6,5 | 1,02 | 1,15 | 2,39 |
| 19.00 | 091 | კემბრიჯი-საუთენდი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 19.00 | 092 | ჩელტენემი-მაკლსფილდი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 19.00 | 093 | დარლინგტონი-ჰადერსფილდი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 19.00 | 094 | მენსფილდი-როჩდეილი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 19.00 | 095 | ოქსფორდი-ლეიტონი | 1,45 | 3,8 | 6,5 | 1,04 | 1,18 | 2,39 |
| 19.00 | 096 | იოვილი-კიდერმინსტერი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 19.00 | 097 | იორკი-ჰალი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |

ინგლისი

**კონფერენსი. XXIV ტური**

**26 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 116 | ბარტონი-ტემუორთი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 16.00 | 117 | დაგ ენდ რედი-ალდერშოტი | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 16.00 | 118 | ფარნბორო-სტივენეიჯი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 19.00 | 119 | აკრინგტონი-მორიკომბი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 19.00 | 120 | ჩესტერი-ლეი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 19.00 | 121 | ჰალიფაქსი-სკარბორო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 19.00 | 122 | შრიუსბერი-ნორთვიჩი | 1,2 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,04 |
| 19.00 | 123 | ტელფორდი-ფორესტ გრინი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 124 | უოკინგი-ბარნეტი | 2,25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 23.45 | 125 | ჰერეფორდი-ექსეტერი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |

**27 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 126 | მარგეიტი-გრეივსენდი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |

შოტლანდია

**პრემიერლიგა. XVIII ტური**

**27 დეკემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 130 | ჰართსი-მაზერუელი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 131 | სელტიკი-ჰიბერნიანი | .1,12 | 6,5 | 15,0 | 1 | 1,04 | 4,53 |
| | 132 | სელტიკი-ჰიბერნიანი 0:1 | 1,35 | 4,0 | 4,4 | | | |
| 19.00 | 133 | კილმარნოკი-დანდი იუნ. | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 134 | ლივინგსტონი-აბერდინი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 135 | პარტიკი-დანფერმლაინი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |

28 დეკემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 136 | დანდი-რეინჯერსი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. XIX ტური**

27 დეკემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 138 | ეარი-რეითი | 2,35 | 3,3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |
| 19.00 | 139 | ბრეჩინი-კლაიდი | 4,2 | 3,5 | 1,7 | 1,9 | 1,21 | 1,14 |
| 19.00 | 140 | ინვერნესი-სტ.ჯონსტონი | 2,2 | 3,4 | 2,8 | 1,33 | 1,23 | 1,53 |
| 19.00 | 141 | ქუინი-ფოლკირკი | 2,35 | 3,4 | 2,5 | 1,38 | 1,21 | 1,44 |
| 19.00 | 142 | სტ.მირენი-როსი | 2,35 | 3,3 | 2,6 | 1,37 | 1,23 | 1,45 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. XVII ტური**

27 დეკემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 145 | ისტ ფაიფი-არბროთი | 1,8 | 3,5 | 3,4 | 1,18 | 1,17 | 1,72 |
| 19.00 | 146 | ფორფარი-ბერიკი | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 19.00 | 147 | სტენჰაუსმური-ერდრი | 2,6 | 3,5 | 2,2 | 1,49 | 1,19 | 1,35 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. XVII ტური**

27 დეკემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 150 | კოუდენბითი-პიტერჰედი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 19.00 | 151 | გრეტნა-ისტ სტირლინგი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |

**შოტლანდია**

**თასი. II ეტაპი**

27 დეკემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 153 | სტრანრარი-ჰამილტონი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|

**ჰოკეი. ჩეხეთი**

28 დეკემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 1029 | სლავია-კარლოვი ვარი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| 20.00 | 1030 | ზლინი-ზნოიმო | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,68 |
| 20.00 | 1031 | ვიტკოვიცე-პლზენი | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| 20.00 | 1032 | პარდუბიცე-ვსეტინი | 1,25 | 5,6 | 6,5 | 1,02 | 1,04 | 3 |
| 20.00 | 1033 | ლიტვინოვი-ტრჟინეცი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.00 | 1034 | ბუდეიოვიცე-კლადნო | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 20.00 | 1035 | ლიბერეცი-სპარტა | 2,45 | 4,2 | 2,05 | 1,54 | 1,11 | 1,37 |

**ჰოკეი**

**სლოვაკეთი**

28 დეკემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 1039 | ზვოლენი-ნიტრა | 1,22 | 5,3 | 7,0 | 1 | 1,03 | 3,01 |
| 20.00 | 1040 | ჟილინა-პოპრადი | 1,5 | 4,4 | 4,2 | 1,11 | 1,1 | 2,14 |
| 20.00 | 1041 | მარტინი-ტრენჩინი | 3,5 | 4,4 | 1,6 | 1,94 | 1,09 | 1,17 |
| 20.00 | 1042 | სლოვანი-სკალიცა | 1,4 | 4,4 | 5,0 | 1,06 | 1,09 | 2,34 |
| 20.00 | 1043 | კოშიცე-მიკულაში | 1,3 | 5,3 | 6,0 | 1,04 | 1,06 | 2,81 |

**ჰოკეი**

**შვედეთი**

26 დეკემბერი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 1081 | ლულეო-ჰვ 71 | 2,15 | 4,4 | 2,3 | 1,44 | 1,11 | 1,51 |
| 20.00 | 1082 | ლექსანდი-ტიმრე | 2,15 | 4,4 | 2,3 | 1,44 | 1,11 | 1,51 |
| 20.00 | 1083 | იურგორდენი-ფერიესტადი | 2,3 | 4,4 | 2,15 | 1,51 | 1,11 | 1,44 |
| 20.00 | 1084 | მოდო-მალმიო | 1,55 | 4,8 | 3,6 | 1,17 | 1,08 | 2,05 |
| 20.00 | 1085 | სიოდერტელიე-ლინჩიოპინგი | 2,0 | 4,4 | 2,45 | 1,37 | 1,1 | 1,57 |

## სააახალწლოდ კროკო მუშაობას შეწყვეტს 31 დეკემბერს და განაახლებს 9 იანვარს

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

26 დეკემბერი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 5501 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.00 | 5502 | ფულემი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 5503 | ჩარლტონი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5504 | ბირმინგემი-სიტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5505 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5506 | ლიდსი-ასტონ ვილა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5507 | ლესტერი-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5508 | ლივერპული-ბოლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5509 | მანჩესტერი-ევერტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 19.00 | 5510 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

26 დეკემბერი

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| 16.00 | 5301 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 16.00 | 5302 | ფულემი-საუთჰემპტონი | 1,7 | 1,9 |
| 16.30 | 5303 | ჩარლტონი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5304 | ბირმინგემი-სიტი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5305 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5306 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5307 | ლესტერი-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5308 | ლივერპული-ბოლტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5309 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5310 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1,75 | 1,85 |

### I ტაიმის შედეგი

26 დეკემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 5001 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 1,2 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,33 |
| 16.00 | 5002 | ფულემი-საუთჰემპტონი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 16.30 | 5003 | ჩარლტონი-ჩელსი | 5,3 | 2,2 | 2,05 | 1,55 | 1,47 | 1,06 |
| 19.00 | 5004 | ბირმინგემი-სიტი | 2.6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 19.00 | 5005 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 19.00 | 5006 | ლიდსი-ასტონ ვილა | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1,14 | 1,54 | 1,33 |
| 19.00 | 5007 | ლესტერი-ნიუკასლი | 3,8 | 2,1 | 2,5 | 1,35 | 1,5 | 1,14 |
| 19.00 | 5008 | ლივერპული-ბოლტონი | 2,0 | 2,2 | 5,6 | 1,04 | 1,47 | 1,57 |
| 19.00 | 5009 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,35 | 3,6 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,48 |
| 19.00 | 5010 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1,28 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

26 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.00 | 5401 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 1,1 | 5,0 |
| 16.00 | 5402 | ფულემი-საუთჰემპტონი | 1,8 | 2,0 |
| 16.30 | 5403 | ჩარლტონი-ჩელსი | 2,5 | 1,55 |
| 19.00 | 5404 | ბირმინგემი-სიტი | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5405 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5406 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,8 | 2,0 |
| 19.00 | 5407 | ლესტერი-ნიუკასლი | 2,0 | 1,8 |
| 19.00 | 5408 | ლივერპული-ბოლტონი | 1,5 | 2,6 |
| 19.00 | 5409 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 5410 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1,85 | 1,95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

26 დეკემბერი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.00 | 5201 | არსენალი-ვულვერჰემპტონი | 2,3 | 1,45 |
| 16.00 | 5202 | ფულემი-საუთჰემპტონი | 1,85 | 1,75 |
| 16.30 | 5203 | ჩარლტონი-ჩელსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5204 | ბირმინგემი-სიტი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5205 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5206 | ლიდსი-ასტონ ვილა | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 5207 | ლესტერი-ნიუკასლი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5208 | ლივერპული-ბოლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5209 | მანჩესტერი-ევერტონი | 2,2 | 1,5 |
| 19.00 | 5210 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 1,8 | 1,8 |

### 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

26 დეკემბერი

| | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 5101 | არსენალი-ვულვერჰემპ. | 1,3 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 25,0 | 30,0 | 22,0 | 22,0 |
| 16.00 | 5102 | ფულემი-საუთჰემპტონი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 16.30 | 5103 | ჩარლტონი-ჩელსი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,4 |
| 19.00 | 5104 | ბირმინგემი-სიტი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 5105 | ბლექბერნი-მიდლსბრო | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 19.00 | 5106 | ლიდსი-ასტონ ვილა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 5107 | ლესტერი-ნიუკასლი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,2 |
| 19.00 | 5108 | ლივერპული-ბოლტონი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 5109 | მანჩესტერი-ევერტონი | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 19.00 | 5110 | პორტსმუთი-ტოტენჰემი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |

# კარგ მწვრთნელს მოძებნა უნდა

## ფრანგები ლევან ცაბაძეს სადღეგრძელოს არ აცლიან



*კლოდ სორელი ნაკრებიდან რომ წავიდა, ბორჯღალოსანთა ყოფილმა კაპიტანმა ლევან ცაბაძემ ჩვენგან გაიგო. ერთის მხრივ „ლეონსიოსთვის“ სულ ერთი უნდა იყოს, ვინ იქნება ნაკრების ახალი მწვრთნელი ან მწვრთნელები, რაკი მან სანაკრებო კარიერა დაასრულა. ამის მიუხედავად, მისი აზრი ყოველთვის საინტერესოა*

— ნაღდად არ ვიცოდი, სირელი თუ წავიდა. შენგან გავიგე ახლა. სიმართლე გითხრათ, არც დავინტერესებულვარ მისი ამბებით — გვითხრა გუშინ ლევან ცაბაძემ საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.

— **მერე რა აზრის ხარ?**

— სწორი გადაწყვეტილება მიიღო. საქართველოს ნაკრებთან მას მომავალი არ ჰქონდა. მე თუ მკითხავ, უფრო ადრე უნდა წასულიყო. მართლა, ახალი მწვრთნელი ვინ არის?

— ჯერ არავინ. ისე კი, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ნაკრებს ქართველები უთავკაცებენ.

— ქართველები... მაინც ვინ?

— ოფიციალურად კვირის ბოლოს გახდება ცნობილი. ამბობენ, რომ მალხაზ ჭეიშვილი, პაატა ნარიმანაშვილი და დავით ჩავლეიშვილი ერთად გაწვრთნიან ნაკრებს.

— კარგი მწვრთნელები არიან. პაატა ნარიმანაშვილს და მალხაზ ჭეიშვილს საერთაშორისო გამოცდილებაც აქვთ, მაგრამ რამდენად საქმარისი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

რა თქმა უნდა, ჯობდა, ნორმალური უცხოელი მოეძებნათ. შეიძლება ამ არჩევანმაც გაამართლოს, ყოველ შემთხვევისთვის, თუ არ გააკეთეს, სორელზე მეტს ნაღდად არ გააფუჭებენ.

— **მერე საქმის არგაფუჭება უშველის ნაკრებს?**

— ცხადია, არა. ვნახოთ, დაველოდოთ, ერთა თასი წინაა და იქ გამოჩნდება, გაამართლებენ თუ არა. მთავარია, გუნდში დისციპლინა შეინარჩუნონ და ერთფეროვანი თამაში რაიმე გააზრებულით შეცვალონ.

— **წელან ნორმალური უცხოელი ახსენე. თუ მიწვევაა, ცხადია, სორელზე უკეთესი უნდა მიიწვიო. ეს კი დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.**

— არც ისე დიდთან. ჩემი კლუბის „მონფერანის“ მწვრთნელი ალენ იარდე ძვირი ღირს. წელიწადში 300 ათას ევროს უხდიან, მაგრამ არიან მწვრთნელები, რომლებიც გაცილებით ნაკლებს თხოულობენ. უბრალოდ, მოძებნა უნდა, თან გააჩნია, რა პირობებს შესთავაზებ. არ ვიცი, სორელი რამდენს იღებდა, მაგრამ თვეში ხუთი ათას დოლარად მასზე გაცილებით კვალიფიციურ მწვრთნელს დაითანხმებ. ეს არ არის უსაშველო თანხა. თუ მატჩი არ იყო, სორელი საქართველოში წელიწადში ორჯერ ჩამოდიოდა, ასეთი განრიგით კი ხუთი ათას დოლარზე ბევრი მწვრთნელი დათანხმდება. მთავარია, დააინტერესო. ბოლოსდაბოლოს მსოფლიოს თასზე ნათამაშები ნაკრების მწვრთნელობას სთავაზობ, რომელიღაც კლუბისას ხომ არა. მე ვიცი რამდენიმე კარგი მწვრთნელი, რომელიც ასეთ პირობებზე წამოვიდოდა.

— **მერე საქართველოს რაგბის კავშირი ჩაგეყენებინა საქმის კურსში...**

— ჯერ ერთი — თქვენგან გავიგე, რომ სორელი წავიდა. მეორე — მწვრთნელის მოძებნა ჩემს კომპეტენციაში ნაღდად არ შედის და მესამე — არ მინდა, ჩემს თავზე ზედმეტი პასუხისმგებლობა ავიღო.

— **სორელი აღარ არის ნაკრების მწვრთნელი, რომ დაგიძახონ, დაბრუნდები ნაკრებში?**

— არა, ვერავინ და ვერაფერი დამაბრუნებს. გადაწყვეტილება მივიღე და არ შევცვლი.

— **კლუბში როგორ მიგდის საქმეები?**

— მშვენივრად. სტაბილურად ვთამაშობ.

— **დღეს შეხვდები შობას?**

— რა თქმა უნდა. ახლა მანქანაში ვარ და ჩემი ოჯახით ერთ-ერთ ფრანგ თანაგუნდელთან მივდივართ შობის შესახვედრად.

— **სადღეგრძელოსაც იტყვი...**

— ცხადია, მაგრამ ძალიან ცოტას დავლევ, ერთ-ორ ყლუპს. ხვალ დილით ვარჯიში გვაქვს, ორ დღეში კი პრინციპული მატჩი.

— **მანდა გაქვს ქართული ღვინო?**

— სამწუხაროდ, არა, სამაგიეროდ, ოჯახის ნატურალური ჭაჭა მაქვს, ბომბაა რა.

— **აბა, ახალ წელს მაინც დაილოცები ქართულად.**

— ვინ გაცლის... ოცდათერთმეტში დილით შეკრებაზე მივდივართ, რადგან სამში თამაში გვაქვს. ასეა აქ, მკაცრ რეჟიმში ვართ. ნეტა გამაგებინა, რა ხალხია ეს ფრანგები, არც შობა იციან და არც ახალი წელი...

**ბაჩო სვანიძე**



# ვარდების რევოლუციამ ქალებიც აზარალა

*წლევანდელი საჭადრაკო სეზონი დასრულდა და ჩვენს ვაჟზე აუგი ნამდვილად არ ითქმება. საქართველოს ალბათ ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკემ ზურაბ აზმაიფარაშვილმა ევროპული ოქრო მოიგო, ხოლო ნაკრებმა – ბრინჯაო. ქართველთა წარმატებებზე და მსოფლიოში მიმდინარე საჭადრაკო ამბებზე, თავად ევროჩემპიონი და ფიდეს ვიცეპრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი საუბრობს*



**ზურაბ აზმაიფარაშვილი მეუღლითურთ**

— **როგორი იყო 2003 წელი ქართული ჭადრაკისთვის?**

— შეიძლება ითქვას, დადებითი. განსაკუთრებით მამაკაცებმა გამოვიჩინეთ თავი. მე ევროპის ჩემპიონი გავხდი, ჩვენი ნაკრები კი ბრინჯაოს პრიზიორი. ეს წარმატება უცებ არ მოსულა, რამდენიმეწლიანი მუშაობის შედეგია. საუკეთესო თაობა გვყავს: ზვიად იზორია, გიორგი ყაჭეიშვილი, ბადურ ჯობავა, მერაბ გაგუნაშვილი და სხვანი. მიუხედავად მცირე ასაკისა, ისინი უკვე კარგი მოჭადრაკეები არიან და ევროპაში გუნდური მესამე ადგილიც დამსახურებულად მოვიპოვეთ.

ქალებმა ცოტა დათმეს პოზიციები, თუმც წლეულს უკვე ახალი ტალღა წამოვიდა. ნანა ძაგნიძე ორჯერ, 18 და 20 წლამდელებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ევროპის საკლუბო პირველობაზე კი „ნტნ თბილისის“ შემადგენლობაში პირველ დაფაზე თამაშობდა და ვერცხლის მედალი მოიგო. ნანას სახით დიდი მოჭადრაკე გვეზრდება. თამამად შემიძლია ვთქვა, იგი ძველ წარმატებებს დაგვიბრუნებს.

— **ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე თქვენ ბოსნიურ „კისელჯაკის“ შემადგენლობაში ბრინჯაოც მოიგეთ...**

— ეს წარმატება ჩემთვის პირველი არ იყო. 1994 წელს ლიონში რუს დიდოსტატ გარი კასპაროვთან ერთად „ბოსნია-სარაევოს“ შემადგენლობაშიც მოვიპოვე მესამე ადგილი.

წლევანდელ პირველობაზე ურიგო შედეგი არ უჩვენებია ვაჟთა „თბილისს“. ქართული კლუბი პირველად იყო ჩემპიონატზე და 45 გუნდში მეხუთე-მერვე ადგილებზე დაასრულა.

— **საკლუბო ჩემპიონატამდე გარი კასპაროვთან ექვსი პარტია ითამაშეთ, ორი სწრაფი და ოთხიც ბლიცი...**

— ეს მატჩები სრულიად შემთხვევით შედგა. კასპაროვი იმ დროისთვის უკრაინელ დიდოსტატ რუსლან პონომარიოვთან შესახვედრად ემზადებოდა, თუმც თამაში გადაიდო და კასპაროვმაც ფიდე-ს საკლუბო ჩემპიონატზე დაშვება გვთხოვა. მისი თხოვნა გავითვალისწინეთ, ჩემპიონატამდე ათი დღე იყო დარჩენილი და მოვითათბირეთ, რომ ამ თავისუფალ დროს ამხანაგურად ექვსი სწრაფი პარტია გვეთამაშა.

ამ შეხვედრებს უფრო შოუსავით მოვეკიდე და ასეთი უარყოფითი შედეგიც (0,5:5,5) ამიტომ მქონდა. თანაც კასპაროვი საგანგებოდ იყო მომზადებული და ყოველ პარტიამდე კონსულტაციებს მწვრთნელთან გადიოდა.

პირველ პარტიაში დასანანი შეცდომა დავუშვი, რამაც საბოლოოდ გამტეხა, თანაც დროის სიმცირის გამო ხშირადაც ვცდებოდი. ვფიქრობ, კარგად რომ მოვმზადებულიყავი, ასეთი შედეგი ნამდვილად არ მექნებოდა.

— **თითქოს სწრაფი ჭადრაკის თამაში გიჭირთ. კაპ დაგდისა და ბენიდორმის ტურნირებში თქვენს გამოსვლას წარმატებულს ვერ ვუწოდებთ.**

— ასეთ ტურნირებს შოუსავით ვუყურებ, კაპ დაგდიში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზად არ ვიყავი. იქ კი პლანეტის საუკეთესო მოჭადრაკეები იყვნენ და დებიუტები წესიერად ვერც გავითამაშე, თანაც რამდენიმე პარტია თბილისის დროით 11 საათზე იყო დანიშნული და ამანაც შემიშალა ხელი.

— **მსოფლიოს ჩემპიონატების გამართვას ჯერ კიდევ არ დაადგა საშველი, წლეულს ეგრეთ წოდებული „გამაერთიანებელი მატჩი“ და ახალი ჩემპიონატიც გადაიდო.**

— სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი. ჭადრაკისადმი ინტერესი თანდათან შემცირდა და სპონსორებმაც იკლეს. რაც კირსან ილუმჟინოვი ფიდეს სათავეში მოვიდა, საჭადრაკო თანხებს საკუთარი ჯიბიდან იღებდა და ახალი კაპიტალი არც კასპაროვის „შემორიგების“ შემდეგ გამოჩენილა.

20 დეკემბერს ფიდე-მ გამოაქვეყნა ახალი წესები და გამოაცხადა ტენდერი, ანუ თუ ვინმე მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვას მოისურვებს, მილიონნახევარი დოლარის დახარჯვა მოუწევს.

— **მომავალი წლის მაისს-ივნისში თბილისში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი იყო დაგეგმილი...**

— საქართველოს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი, რომ მაისს-ივნისში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი გამართულიყო, მაგრამ რადგანაც ხელისუფლება შეიცვალა და ბოლომდე პოლიტიკურად დალაგებულები ჯერაც არა ვართ, ვერაფერს ვიტყვი. 4 იანვარს ჩვენს ქვეყანას ახალი მთავრობა ეყოლება, პირადად შევხვდები მათ და საბოლოო პასუხიც მაშინ გვეცოდინება.

— **წლეულს საკმაოდ დიდი ალიარება მოიპოვეთ და რომელიმე სუპერტურნირიდან ხომ არ მოგსვლიათ მიწვევა?**

— საერთოდ ასეთი ტურნირები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია და მათი გამართვაც ორგანიზატორებზეა დამოკიდებული. შეიძლება ერთმა მოითხოვოს, ესა და ეს მოჭადრაკე მინდაო, ანაც რეიტინგით პირველი შვიდი ვათამაშოთო და ასე შემდეგ. ცოტა ხნის წინ იყო წინადადება, რომ გამართულიყო ევროპის და აზიის ჩემპიონის მატჩი, თუმც შემდეგ პრობლემები გამოჩნდა და შეხვედრა ჩაიშალა.

მომავალ წელს ორი დიდი ტურნირი, მსოფლიოს ჩემპიონატი და ოლიმპიადაა დაგეგმილი და ჩემთვის მთავარია, იქ გამოვიდე წარმატებით.

**ლუკა გეგეჭკორი**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ენით დაკოდილი გინებით მორჩა

— 23 დეკემბერი —

**პორტლენდი 97:88 დალასი**
პორტლენდი: მაკინისი (14), სტუდემაიერი (16), ვოლესი (7), რენდოლფი (27), დევისი (1); პატერსონი (12), პერსონი (10), ვუდსი (8), დიკენსი (2)

*სტეფანია სათადარიგო იყო*

დალასი: ნეში (4), ფინლი (12), ნახერა (2), უოლკერი (19), ნოვიცკი (6), ჯემისონი (20), ჰოვარდი (14), ფორტსონი (9), დელკი (2)

**გოლდენ სტეიტი 107:98 ლეიკერსი**
გოლდენ სტეიტი: რობინსონი (24)
ლეიკერსი: ბრაიანტი (23), ონილი (21)

**სან ანტონიო 111:90 კლიპერსი**
სან ანტონიო: დანკანი (22), პარკერი (19)
კლიპერსი: ბრენდი (22), მეჯიტი (19)

**კლივლენდი 97:86 ნიუ ორლეანი**
კლივლენდი: ჯეიმსი (22), ბუზერი (17)
ნიუ ორლეანი: დევისი (27), ბრაუნი (16)

**ჰიუსტონი 71:79 ინდიანა**
ჰიუსტონი: ფრენსისი (23), ჯეკსონი (14)
ინდიანა: ონილი (21 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ იორკი 92:98 მინესოტა**
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (26)
მინესოტა: სპრიუელი (31), კასელი (31)

**მილუოკი 83:78 დეტროიტი**
მილუოკი: სმიტი (18 ქულა, 17 მოხსნა)
დეტროიტი: ჰამილტონი (17)

**მაიამი 79:72 ვაშინგტონი**
მაიამი: ვეიდი (20)
ვაშინგტონი: ჰიუზი (16)

**სიეტლი 116:90 ფინიქსი**
სიეტლი: ალენი (24), ლუისი (22)
ფინიქსი: ჯონსონი (21), მერიონი (19)

**საკრამენტო 114:97 მემფისი**
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (41)
მემფისი: გასოლი (23), პოუზი (18)

**ნიუ ჯერსი 95:78 ჩიკაგო**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (26), კიდი (18)
ჩიკაგო: ჰაინრიხი (17), უილიამსი (15)

**ატლანტა 93:88 ბოსტონი**
ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (25)
ბოსტონი: მაკარტი (16), პირსი (15)

23 დეკემბერი ერთობ დატვირთული იყო თამაშებით, ვინ მოიგო, ვინ წააგო, თუმც „სან ანტონიოს" გამარჯვებას სულ სხვა ელფერი ჰქონდა — მოქმედმა ჩემპიონმა მიჯრით მეთერთმეტედ იძალა.

არადა, ამ თვის დასაწყისში სანანტონიოელებმა გუშინწინდელ მეტოქე „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" რომ წააგეს, თავი ტეხასის გარეთ ალარ გაეყოფეზოდათ — შუა დასავლეთის დივიზიონის ფსკერზე დალექილიყვნენ. ის იყო და „სფურზმა" სიჩქარე აკრიფა, ყველა შემხვედრი გადაქელა და აგერ, საკუთარ დივიზიონშიც გაპირველდა.

ტეხასელებს სულაც არ გასჭირვებიათ უსახელო „კლიპერსის" ძლევა. ტიმ დანკანმა თავისი საყვარელმატჩო ულუფა, ორმაგი დუბლი, რა თქმა უნდა, შეასრულა. გამოჯანმრთელებულმა ტონი პარკერმა კი კარიერის უმეტესი, 14 პასი მიითვალა და რა გასაკვირია, რომ ლოსანჯელესელებმა უიმედოდ წააგეს.

საერთოდ გუშინწინდელი დღე ნავსიანი გამოდგა „ანგელოზთქალაქელთათვის" — ლოს ანჯელესის მეორე და უფრო მოდური კლუბი „ლეიკერსიც" დამარცხდა. ლიგის უსტაბაში მეზობელ ოკლენდში გადავიდა და „გოლდენ სტეიტთან" იოლი გამარჯვების მოლოდინში მწარე ალიყური იწვნია.

ლეიკერსელთა წაგებას ვერ დავაბრალებთ „ლითონის ჩამოსხმა" კარლ მელოუნის არყოფნას, რომელმაც თავის 19-წლიანი კარიერის მანძილზე გუშინწინ მე-12(!) მატჩი გამოტოვა. ფილ ჯეკსონს კიდევ არაერთი ვარსკვლავი მოეძევებოდა, მაგრამ მებრძოლი ოკლენდელების წინააღმდეგ მაინც ვერაფერს გახდა.

სასამართლოსგან დროებით თავდაღწეულმა კობი ბრაიანტმა დასრულებამდე 2 წუთით ადრე მორიგი სამქულიანი ტყორცნა და ლეიკერსელებს წარმატების იმედი მიეცათ, თუმც მელოუნის არყოფნაში გალაღებულმა მელოუნივით ბებერმა კლიფ რობინსონმა იქვე იყოჩალა და სულ ცოტა ხნის წინ აუტსაიდერთა „მეგობარი" „გოლდენ სტეიტიც" გვარიანად აჩოჩდა წყნარი ოკეანის დივიზიონში.

ნელ-ნელა, თუმც მაინც მაღლა მიიწევს შარშანდელი ბოგანო „კლივლენდ კავალიერზიც". „კლივლენდი" ბოლო წლების მართლა ჩაჩანაკი გუნდია და წლევანდელ დრაფტში ნაწყალოვები ლებრონ ჯეიმსით ცდილობს ბობოლათა შორის თვითდამკვიდრებას.

ძველ სახელს კლივლენდელები, ცხადია, უცებ ვერ დაიბრუნებენ, მაგრამ ამ ქალაქში რომ აგურზე აგური იდება, „კავალერიის" ბოლოდროინდელი წარმატებებიდანაც ჩანს. წინა კვირაში „კლივლენდმა" სტუმრად მოუგებელი 34-მატჩიანი სერია შეწყვიტა, როცა ჩიკაგოში „ხარები" გახედნა, გუშინწინ კი „ნიუ ორლეანის" ძლევით მოგებათა სერია 3 მატჩამდე გაზარდა.

ეგებ ვინმეს გაუკვირდეს, 3 მატჩის მიყოლებით მოგება რა ბედენაო, მაგრამ „კლივლენდისთვის" ეს მართლაც მიღწევაა, რამეთუ აქამდე 113 მატჩი ისე გალეულა, „კავალერიას" მიჯრით ორზე მეტჯერ არ უხეირია.

კლივლენდში აღმოსავლეთის ბობოლათაგანი „ნიუ ორლეანი" ჩავიდა და პირველი ტაიმის შემდეგ დაარხეინდა კიდეც. ჩვეულად კისკასობდა ორლეანელთა ლიდერი ბაირონ დევისი, რომელმაც საწყისი 5 სროლა ჩააგდო და ლებრონ ჯეიმსი გააბრაზა.

„რაღაც უნდა დამჯდომოდა, დევისი უნდა გამეჩერებინა, რადგან მან ისე გაუტია, უეჭველად წაგვაგებინებდა — ამბობდა ჯეიმსი — მეორე ტაიმიდან დაცვაში ჩავჯექით და დევისიც გავაჩერეთ და ყველა სხვაც."

კლივლენდელებმა მესამე მეოთხედში ნიადაგი შეამზადეს და გადამწყვეტ პერიოდში ელეთმელეთი მოუწყეს ორლეანელებს. ლებრონმა იმდენი სდია ბაირონ დევისს რომ „ჰორნეტსის" ლიდერმა ორიენტაცია დაკარგა და იმ 5 ზუსტი სროლის შემდეგ 22 მცდელობიდან მხოლოდ 4-ჯერ მოარტყა მიზანში.

კლივლენდელები პირველად ბოლო მეოთხედის შუაწელში დაწინაურდნენ ერიკ უილიამსის სამქულიანის შემდეგ — 75:72. 17-ათასიანი დარბაზი ადუღდა და სტუმრებს საერთოდ დამბლა დაეცათ. ჯეიმსმა დევისს ბურთი მოჰპარა და სწრაფი გარღვევა მორიგი ორქულიანით რომ დაასრულა, თამაშის დასრულებამდე ბევრიც არაფერი რჩებოდა, „კლივლენდი" კი 7 ქულით დაწინაურებულიყო. ლებრონელებმა მატჩი მშვიდად მიიყვანეს გამარჯვებამდე და აღმოსავლელ მეპლეიოფეთა ზონას მიუახლოვდნენ.

თუ „კლივლენდი" მართლაც ჩაებმება საპლეიოფო ბრძოლაში, მისი ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ალბათ „ნიუ იორკი" იქნება. ნიუიორკელებმა გუშინწინ „მინესოტა" ისტუმრეს და ყოფილი მათიანის, ლატრელ სპრიუელის ხელით განიგმირნენ.




კობი ბრაიანტმა ჩვეულად იფრინა, მაგრამ „გოლდენ სტეიტს" მაინც ვერ გადააფრინდა

სპრიუელი დიდად შემომწყრალია ნიუიორკელებზე და განსაკუთრებით „ნიქსის" თანამფლობელ ჯეიმს დოლანზე, ვისაც სეზონის წინ ჟურნალისტებთან უთქვამს, სპრიუელის გაშვებით ჩვენს გუნდს ნამუსს შევუნახავთო.

ისედაც თავქარიანი სპრიუელი ისე გაუცოფებია დოლანის ამ ზაფხულისდროინდელ განცხადებას, რომ წყნა დღემდე გამოჰყოლია და გუშინწინ „ნიუ იორკის" კალათის დაბომბვასთან ერთად იქვე, მოედნის კიდეზე მჯდარი დოლანის გამოლანძღვასაც ასწრებდა — ჩააგდებდა და უმალ კაი ცხრასართულიან გინებას გამოუწერდა „ნიუ იორკის" შეფს.

როცა მსაჯმა სპრიუელის ბილწსიტყვაობას ყური მოჰკრა, ტექნიკურით დააჯარიმა, მაგრამ „გამგელებული" ექსნიუიორკელი მაინც პოულობდა ხოლმე დროს დოლანის „შესამკობად".

სპრიუელმა საბოლოოდ 31 ქულა ჩაუგდო ყოფილ გუნდელებს და კევინ გარნეტის ბობოქრობითაც წელგამართულმა „მინესოტამ" „ნიუ იორკის" ახალდანიშნულ პრეზიდენტს აიზია ტომასს დებიუტი ჩაუშხამა.

ბოლოსთვის შემოვინახეთ „პორტლენდისა" და „დალასის" მატჩი, რომელშიც ორეგონელებმა ვლადიმერ სტეფანიას გარეშე დაამარცხეს ტეხასელები და მოგებ-წაგებათა ბალანსი ისევ გაითანაბრეს.

**ირაკლი პერტაია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | |
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 14 | 13 | 51,9 |
| ფილადელფია | 14 | 14 | 50,0 |
| ბოსტონი | 14 | 15 | 48,3 |
| მაიამი | 11 | 17 | 39,3 |
| ნიუ იორკი | 10 | 19 | 34,5 |
| ვაშინგტონი | 8 | 18 | 30,8 |
| ორლანდო | 7 | 22 | 24,1 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 21 | 8 | 72,4 |
| ნიუ ორლეანი | 18 | 11 | 62,1 |
| დეტროიტი | 16 | 12 | 57,1 |
| ტორონტო | 14 | 13 | 51,9 |
| მილუოკი | 14 | 14 | 50,0 |
| კლივლენდი | 9 | 19 | 32,1 |
| ჩიკაგო | 7 | 20 | 25,9 |
| ატლანტა | 8 | 22 | 26,7 |
| **დასავლეთი** | | | |
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 20 | 10 | 66,7 |
| მინესოტა | 18 | 9 | 66,7 |
| დენვერი | 17 | 11 | 60,7 |
| დალასი | 15 | 12 | 55,6 |
| ჰიუსტონი | 15 | 12 | 55,6 |
| მემფისი | 15 | 13 | 53,6 |
| იუტა | 15 | 13 | 53,6 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ლეიკერსი | 20 | 6 | 76,9 |
| საკრამენტო | 20 | 6 | 76,9 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 13 | 50,0 |
| პორტლენდი | 13 | 13 | 50,0 |
| სიეტლი | 13 | 13 | 50,0 |
| კლიპერსი | 11 | 13 | 45,8 |
| ფინიქსი | 10 | 19 | 34,5 |

# ფულიც იშოვა და ახლობლობაშიც არ ჩაიჭრა

## მურნინგმა ბიძაშვილი და თირკმელი იპოვა



მეგობრობაც ასეთი უნდა: პატრიკ იუინგმა ალონზო მურნინგს საკუთარი გული და თირკმელი შესთავაზა

**კარიერის** დასრულებიდან ზუსტად ერთი თვის თავზე ალონზო მურნინგის სასიცოცხლო საფრთხემ გადაიარა. 90-იანი წლების ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრს სამი წლის წინ თირკმლის მძიმე დაავადება აღმოაჩნდა, რომელიც თითქოს მოირჩინა ამ ზაფხულს, მაგრამ ნოემბრის ბოლოს მუხთალმა სენმა სათამაშო კარიერაზე ხელი აალებინა.

მურნინგის თირკმელი ისეთ დღეში იყო, აქიმობით არ ეშველებოდა და ტრანსპლანტაციისთვის დონორის ძიებაც დაიწყო. განთქმული კალათბურთელისთვის საკუთარი თირკმლის „ჩუქების" მოსურნეები მრავლად გამოჩნდნენ, მათ შორის მურნინგზე მეტად ცნობილი მეფარე პატრინგ იუინგი, მაგრამ დასტაქართა სახელდახელო შემოწმებების შემდეგ დონორად „ზოს" ბიძაშვილი თუ მამიდაშვილი, ზღვაოსანი ჯეისონ კუპერი შეირჩა.

„ჯეისონი ღმერთმა გამომიგზავნა, მისი ვალიდან ვერასდროს ამოვალ — ამბობდა მოზღვავებული გრძნობებისაგან აღელვებული მურნინგი — სიტყვებით ვერ გამოვთქვამ იმ მადიელებას, რასაც ის ჩემგან იმსახურებს."

საინტერესო კი ისაა, რომ ლამის თანატოლ ბიძაშვილ-მამიდაშვილს ერთმანეთი ბავშვობის შემდეგ არ ენახათ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდეს ძმა და თვისიო...

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და გუშინწინ მურნინგი ნიუ იორკის პრესბიტანელთა ჰოსპიტლიდან გამოწერეს. ჟურნალისტებმა ზოს საავადმყოფოს ეზოდან გასვლა არ აცალეს, მოედანს ხომ არ დაუბრუნდებიო. მურნინგმა უპასუხა, ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, გადანერგილი თირკმელი ჩემს ორგანიზმს როგორ შეეგუება, მაგ კითხვაზე კი მერე გიპასუხებთო.

ისე, საკალათბურთო ისტორია მოიძევს ერთ მოედანსდაბრუნებულ თირკმელგამოცვლილს — 1999 წელს ნაოპერაციევმა შონ ელიოტმა 2001-ში ისევ სპორტული წუღები ამოიცვა და ბურთს გაეკიდა.

არავინ იცის, დაუბრუნდება თუ არა მურნინგი მოედანს. სამაგიეროდ, ცალი თირკმლის ანაბარა დარჩენილი კუპერის ფლოტიდან წასვლა გადაწყვეტილი ამბავია, მან ხომ მოწყალების სანაცვლოდ მურნინგისგან გვარიანი ფული მიიღო.

**ირაკლი პერტაია**

ნელი მიინწურა და ფორმულა 1-ში, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, გამორჩეულ პიროვნებათა ღვაწლის დასაფასებელი პრიზები დარიგდა. უმთავრესი პატივ-ჯილდო, ცხადია, მეექვსე გვირგვინდადგმულ მიხაელ შუმახერს ერგო.
მარტო ეს კი არა, დამსახურება ავტოდრომსაც დაუფასდა — 2003 წლის საუკეთესოდ ორგანიზებულ ეტაპად ბარსელონას „კატალუნია მონტმელოზე“ ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშება მიიჩნიეს, ხოლო მეორე პრესტიჟულ ნომინაციაში „საფორმულო ეტაპის საუკეთესო ჩვენებისთვის“ გერმანულმა ტელეკომპანია RTL-მა გაიმარჯვა. იტალიურ ჟურნალ „აუტოსპრინტის“ გამოკითხვის შედეგად „წლის პიროვნება“ გახდა „ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა კორდერო დი მონტეძემოლო. პოპულარულმა ტელეარხმა „ფოქსსპორტმა“ ლათინური ამერიკის წლის სპორტსმენობა ხუან-პაბლო მონტოიას მიაკუთვნა.
ბრიტანულ ჟურნალ „აუტოსპორტის“ აზრით კი „რენოს“ ესპანელი პილოტი ფერნანდო ალონსოა „წლის აღმოჩენა“. 22 წლის ნანდოს მართლაც ფანტასტიკური სეზონი ჰქონდა — პირველად მოიგო კვალიფიკაცია, პირველად შედგა პოდიუმზე და პირველად გაიმარჯვა რბოლაშიც. მთავარი კი ისაა, რომ იგი ამ სამივე წარმატების ყველაზე ახალგაზრდა ავტორია „სამეფო რბოლების“ 54-წლიან ისტორიაში



**ფერნანდო ალონსო**
(ესპანეთი)
დაიბადა 1981 წლის 29 ივლისს ოვიედოში
ცხოვრობს ოვიედოსა და ოქსფორდში
უცოლო
სიმაღლე 171 სმ, წონა 67 კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
პირველი გამარჯვება: უნგრეთის დიდი პრიზი (2003)
33 რბოლა, 1 მოგება, 4 პოდიუმი, 2 პოული, 1 უსწრაფესი წრე, 55 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო ადგილი – VI
ასპარეზობდა „მინარდიში“ (2001), „რენოში“ (2003)
2002 წელს იყო „რენოს“ ტესტ-პილოტი

# რბოლაში შიშისთვის არ მცალია
## მფრინავ ალონსოს ფრენის ეშინია



**ორი წლის** წინანდელი და დღევანდელი ფერნანდო ერთმანეთისგან შესამჩნევად განსხვავდება. უწყინარ და ოდნავ მორცხვ 19 წლის ბიჭის ნაცვლად დღეს იგი უკვე გამოცდილი მრბოლია, რომელმაც მშვენივრად იცის თავისი ფასი. აზრის გამოთქმაშიც უფრო დინჯი და ფრთხილი გახდა. თუმც მთავარი არ დაუკარგავს — ურთიერთობაში კვლავინდებურად გულღია და მომღიმარია. ნანდოსთან გასაუბრებაც ჟურნალისტებისთვის ყოველთვის ორმაგად სასიამოვნოა.

— ფერნანდო, შარშანწინ თქვი, რომ უკვე 2003 წელს შეძლებდი ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას.

— ეს მეტად ბავშვური და გადაჭარბებით ოპტიმისტური პროგნოზი იყო. უნდა მოვითმინო და გამოცდილება შევიძინო. იმედი მაქვს, ჩემი გამარჯვებები ჯერ წინაა.

— წლევანდელი სეზონის წინ რამდენად ელოდი ყოველივე ამას — პირველი პოული, პირველი პოდიუმი, პირველი მოგება, ჟურნალების ყდები და შენს გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი...

— ცხადია, ნაკლებად ველოდი. საერთოდ ვვარაუდობდი, რომ გზა პირველი წარმატებისკენ გაცილებით მძიმე და გრძელი იქნებოდა. მაგრამ ჩვენმა გუნდმა ბრწყინვალედ იმუშავა და კონკურენტუნარიანი მანქანა შექმნა. სწორედ ამ სასიამოვნო სიურპრიზმა მაჩუქა გადასარევი სეზონი. ჩემპიონატის წინ ვინმეს რომ ეთქვა, მეექვსე ადგილზე გახვალო, არ დავიჯერებდი, მაგრამ მერე საქმე ისე კარგად წამივიდა, გულიც კი დამწყდა, უკეთესი ადგილი რომ ვერ დავიკავე. თუმც, რასაკვირველია, საწუწუნო არაფერი მაქვს. ვთვლი, რომ კარგად გაწყობილი ბოლიდი წარმატების 60 პროცენტია, დანარჩენ 40 პროცენტს კი სიამოვნებით მივაწერ საკუთარ თავს.

**— საგაისოდ რა გეგმები აქვს „რენოს“?**

— წლეულს ფანტასტიკური სეზონი გვქონდა, ამდენად, მომავალ ჩემპიონატში ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვენ და ამიტომ ბევრად ძნელიც იქნება. „რენოს“ შეუძლია რამდენიმე რბოლის მოგება, მაგრამ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა სადღეისოდ არარეალურია. ამჟამად ჩვენი მთავარი მიზანია ლიდერებთან თანაბარ დონეზე დგომა მთელი სეზონის მანძილზე და არა დროდადრო. 2004 წელს გამარჯვებას ისევ მიხაელ შუმახერი მოიპოვებს. მისი „ფერარი“ ხომ არასოდეს ფუჭდება. იმედი მაქვს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც გავხდები მსოფლიოს ჩემპიონი და მინდა, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს.

**— მორიდებული, წყნარი ახალგაზრდის იმიჯი ძნელად შეესატყვისება იმ პატივმოყვარე აგრესიას, რომლითაც ბოლიდს ატარებ...**

— აბა, რა ვქნა? ფორმულა 1-ში გამარჯვების სურვილი თუ გაქვს, პირველი, ვისაც უნდა აჯობო, შენი თანაგუნდელია. ფერნანდო ალონსო, რომელიც ჩაფხუტს იხურავს და კოკპიტში ჯდება, სულ სხვა ფერნანდო ალონსო ხდება.

**— გეშინია ხოლმე?**

— რბოლისას არა, რადგან იქ შეშინების დრო არც გაქვს. ცხოვრებაში კი ხდება ხოლმე, როგორც ყოველ ნორმალურ ადამიანს ემართება, იქნებ უფრო ხშირადაც. უნდა ვაღიარო, რომ თვითმფრინავით ფრენისაც მეშინია და როცა შესაძლებელია დანიშნულების ადგილამდე მანქანით ან მატარებლით ჩასვლა, ფრენაზე უარს ვამბობ.

**— ბრაზილიის დიდი პრიზისას საშინელი ავარიის დროსაც ვერ მოასწარი შეშინება?**

— მხოლოდ შემდეგ, როცა ექიმებმა კომბინეზონიდან ამოყვანა დამიპირეს. კი ვგრძნობდი, რომ მოტეხილი არაფერი მქონდა, მაგრამ ჰოსპიტალში წასაყვანად ვერტმფრენის გამოძახებამ მაინც გვარიანად დამაფეთა.

**— რა ემოციებს იწვევს შენში მიხაელ შუმახერთან შედარება?**

— მე ამგვარ შედარებებში სიფრთხილეს გამოვიჩენდი, თუმც ჩვენ რაღაც საერთო ნამდვილად გვაქვს. თავიდან არანორმალურად ვამაყობდი, მერე კი მივხვდი, რომ შუმახერს მხოლოდ წარმატებული რბოლების შემდეგ შემადარებენ. ხოლო მარცხისას სულ სხვას იტყვიან — შეხედეთ, ფორმულა 3-ის მრბოლივით დადისო. ასე რომ, ასეთ რამეს ახლა უფრო მშვიდად ვუყურებ. ბოლოს და ბოლოს, მიხაელი ღმერთი კი არაა, თუმც ზოგჯერ ჰგავს მას, არამედ მეტოქეა, რომლის ძლევაც უნდა შევძლო. მგონი წლეულს უკვე დავამტკიცე, რომ შემიძლია მასთან ბრძოლა. თანაც ის არასოდეს ყოფილა ჩემი კერპი. სულ სხვაა აირტონ სენა — მართალია, არ ვეთაყვანებოდი, მაგრამ მუდამ მინდოდა მისი მსგავსი ვყოფილიყავი. თავის საქმეს იგი სულსა და გულს ატანდა, ის რბოლებით ცხოვრობდა.

**— დღელამეში რამდენი საათი ხარ პილოტი?**

— სარბოლო უიქენდისას გამუდმებით. სიზმარშიც კი პიტლაინს და მოსახვევებს ვხედავ. დანარჩენ დროს კი ვცდილობ, სამუშაოზე ნაკლებად ვიფიქრო, ხანდახან ხომ გამოთიშვაც საჭიროა. თუ ერთთავად რბოლები გიტრიალებს თავში, ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდი მრბოლი ხარ, უფრო კი შერეკილი.

**— და როგორ ითიშები?**

— შინ, ოვიედოში მივემგზავრები, ვხვდები ძველ მეგობრებს და მათთან ერთად მივდივარ სადმე წყნარ ბარში, ან ვინმესთან სტუმრად. ვუსმენთ მუსიკას, ვლაყბობთ აქეთურ-იქითურზე.

**— ჰობი გაქვს?**

— ფეხბურთი, ველოსიპედი, ცურვა... მიყვარს პლაჟის ფრენბურთიც. ახლახან ბოულინგიც მოვსინჯე — საინტერესო თამაშია. მუსიკაც მიყვარს, პირველ რიგში თანამედროვე ესპანური. ზოგჯერ კლასიკასაც ვუსმენ.

**— რაზე გიყვარს ფულის ხარჯვა?**

— ყველანაირ ელექტრონიკაზე — კომპიუტერზე, აუდიოტექნიკაზე, კომპაქტდისკებზე. ისე კი ფულის ფლანგვის მომხრე არ ვარ.

**— „სამოქალაქო“ ცხოვრებაში რომელი მანქანით დადიხარ?**

— „რენო მეგანით“, რასაც კონტრაქტი მავალდებულებს. თანაც ეს მანქანა აბსოლუტურად მაწყობს.

**— ამის თქმასაც კონტრაქტი გავალდებულებს?**

— მე ის მართლა მომწონს. იმდენად ადვილი სამართავია, რომ ცოტა გავზარმაცდი კიდეც.

**— დაბოლოს, მართალია, რომ კარტის საჭეს ორი წლისა მიუჯექი?**

— თითქმის მართალია, მაშინ სამი წლის ვიყავი. ხოლო პირველი კარტი მამამ გამიკეთა, ის პროფესიით ინჟინერია. სწორედ მამაჩემმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ჩემს მრბოლად ჩამოყალიბებაში. იგი ბავშვობაშიც სულ ჩემს გვერდით იყო და ახლაც დღენიადაგ მიჭერს მხარს, რისთვისაც მისი უზომოდ მადლობელი ვარ. მამაჩემი რომ არა, ოვიედოს გარეთ ვერავინ გაიგებდა მრბოლ ფერნანდო ალონსოს არსებობას.



# ლეიტონს კიმი დაუნიშნავს

**თუკი** ამ დღეებში მსოფლიოს მეორმეჩოგნე ქალის კიმ კლაისტერსის ვებგვერდზე გაგირონიებიათ, სხვათა შორის იმასაც ამოიკითხავდით, რომ კიმი და მისი მეგობარი ბიჭი, სახელიანი მეჩოგნე ლეიტონ ჰიუიტი ამ ორიოდ დღის წინ დანიშნულან.

„ლეიტონმა მაგრად გამაოცა — ჰყვება 20 წლის კიმი — მან სასადილოდ იახტაზე დამპატიჟა და შუა სადილისას უეცრად ბეჭედი და საყურეები გააძრო. ავსტრალიაში დანიშვნა ძალზედ მნიშვნელოვან ამბად ითვლება. ქორწილის თარიღი ჯერ არ დაგვითქვამს, მაგრამ მე მაინც უკვე სასწაულად ბედნიერი ვარ — შობის წინ ხომ ყოველ წელს არ ინიშნები!“

ჩვენ კი მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ცხრა ტიტულისა და ოთხი მილიონის მომხვეჭ კიმისგან განსხვავებით, განვლილი სეზონი ლეიტონისთვის ერთობ უშემოსავლო გამოდგა. მას ამჟამად რეიტინგსიის მე-17 საფეხური უპყრია და კენწეროში დაბრუნებას მომავალი იანვრიდანვე გეგმავს.

შესძენს თუ არა მას დამატებით ენერგიას ბუთქუნა კიმისთვის ბეჭდის წამოცმა, ეგ არავინ იცის, ისე კი ისინი უკვე კარგა ხანიან სექსაობენ და ამდენად, თუკი ლეიტონი ავსტრალიის ღია პირველობაზე წარმატებით გამოვა, ეგ მაინცდამაინც კიმს არ უნდა დაბრალდეს.





კიმი და ლეიტონი მალე ჯვარს იფსკვნიან

# ქართველებმა ოლიმპიური ნაკვერჩხალი ახალი წლისთვის აანთეს

**საქართველოს** ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვერსიით ოლიმპიურ სახეობებში 2003 წლის ჩვენი ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი თავისუფალი სტილის მოჭიდავე ელდარ კურტანიძე გახდა, რომელმაც წლეულს მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

რჩეულ სამეულში მომდევნო ადგილებზე არიან ასევე წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონი, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე მანუჩარ კვირკველია და თავისუფალ ჭიდაობაში მესამე პრიზიორი რევაზ მინდორაშვილი, რომელმაც წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალიც მოიპოვა.

ნომინაციაში „წლის სპორტული აღმოჩენა — ოლიმპიური იმედი“ საუკეთესოდ აღიარეს წლევანდელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი რამაზ ნოზაძე რომელმაც ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატში ყველას აჯობა.

წლის საუკეთესო მწვრთნელად მიიჩნიეს წლის სპორტსმენთა პირველი სამეულის პირადი მწვრთნელები: გიორგი გალდავა, ბეგი დარჩია და მარლენ ოსიყმაშვილი.

ნომინაციაში „წლის საუკეთესო სპორტული ფედერაცია“ საუკეთესოდ მიიჩნიეს ჭიდაობის ფედერაცია, რომელსაც გოჩა ძასოხოვი ხელმძღვანელობს.

უყურადღებოდ არც „წლის სპორტული ექიმი“ დარჩა, ასეთად კი აღიარეს საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი.

ეს ყოველივე გაცხადდა გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ სეოკ-ის ტრადიციულ საანგარიშო სესიაზე, რომლის მუშაობაშიც საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანიაც მონაწილეობდა.

„მე და ჩემი მეგობრები ვგრძნობთ, რომ ახალ ქვეყანაში ვიწყებთ ცხოვრებას — ეუბნება სესიის მონაწილეებს ზურაბ ჟვანია — ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ დამარცხების სინდრომისგან. არ მინდა ვიფიქრო, რომ ათენის ოლიმპიური თამაშებიდან უჩემპიონოდ დავბრუნდებით. ხალხი იმსახურებს ჩვენი სპორტსმენების ჩემპიონობით გახარებას. გვინდა, რომ სპორტი იყოს ის ძალა, იმ ენერგიის მომტანი, რომელიც დამუხტავს საზოგადოებას. სწორედ ამაში ვხედავთ სპორტის მნიშვნელობას.“

თუ როგორი ენერგიის მომტანი იქნება სპორტი, ეს გამოჩნდება გაისად ათენის ოლიმპიურ თამაშებზე, საამისო სამზადისზე კი ისაუბრა მთავარმა მომხსენებელმა, სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა, რომელმაც განვლილი მუშაობის შედეგები შეაჯამა.

ამ სესიას ლაიტმოტივად გასდევდა სამადლობელ სიტყვები, რომლებიც ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტ ბადრი პატარკაციშვილის მისამართით იყო ნათქვამი.

ამ სესიაზე გამოცხადდა „ოლიმპიზმის, ოლიმპიური მოძრაობისა და სპორტის საკითხებზე სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური გამოკვლევებისა და პუბლიცისტური სტატიების გამოქვეყნებისთვის, პროფესორ ავთანდილ ციბაძის სახელობის კონკურსის შედეგები.

ნომინაციაში „სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდური გამოკვლევა“ პრემია მოიპოვა პროფესორ რომანოზ სვანიშვილის ნაშრომმა „საექიმო კონტროლი და სამკურნალო ფიზიკური კულტურა“.

ნომინაციაში „სახელმძღვანელო, სამეცნიერო-მეთოდური ნარკვევი“, პრემიით აღინიშნა პროფესორ ვახტანგ ქარუმიძის „საქართველოს ტურიზმისა და სპორტის სამართალი“. ნომინაციაში „წიგნი, ბროშურა ოლიმპიურ თემატიკაზე“ — ჟურნალისტ თენგიზ გაჩეჩილაძის „პირველი ქართველი ქალი ოლიმპზე“ და ჟურნალისტ ავთანდილ გურასაშვილის „ოლიმპია, ღმერთები და ნახევარღმერთები“, ხოლო მათი კოლეგა გივი ყორმელაშვილი „ოლიმპიურ თემატიკაზე“ პრესაში 22 პუბლიკაციისთვის გახდა ლაურეატი.

სეოკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „წლის სპორტულ ჟურნალისტად“ (ოლიმპიურ თემატიკაზე) დასახელდა ირაკლი თავაძე (გაზეთი „მთავარი გაზეთი სპორტი“), „ტელევიზიით სპორტის საუკეთესოდ გაშუქებისთვის“ დაჯილდოვდა „ტელე-იმედის“ სპორტული რედაქცია, „საზოგადოებრივ პრესაში სპორტისა და ოლიმპიზმის საუკეთესოდ გაშუქებისთვის“ — „საქართველოს რესპუბლიკა“ და „დილის გაზეთი“.

სეოკ-ის სიგელებით დაჯილდოვდნენ საქართველოს დასახურებული ჟურნალისტი გარუნ აკოფოვი, — სეოკ-ის გორის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი გივი ხაჩიძე და თბილისის ორგანიზაციის მეთაური ვლადიმერ კანკავა, რითაც აღნიშნეს პირველის დაბადების 80, მეორის 75 და მესამის 60 წლის იუბილეები.

ამას გარდა სეოკ-ისა და ოლიმპიური ფონდის სიგელებით დაფასდა საქართველოს I ოლიმპიური ფესტივალის აქტიურ მონაწილეთა და თავგამოჩენილთა საქმიანობა.

გუშინდელი ოლიმპიური დღე გასრულდა რესტორან „კოლხეთში“, სადაც წინასაახალწლო შეხვედრა გაიმართა და მოეწყო კონკურსებში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალი.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**



სახელმწიფოებრივად შემაგრებული ოლიმპიური პრეზიდიუმი: ემზარ ზენაიშვილი, ჯანო ბაგრატიონი და ზურაბ ჟვანია



ცერემონიის დედოფალი ნინო სალუქვაძე (მარჯვნივ) და ნანა ალექსანდრია



ოლიმპიური ვერსიით საქართველოს 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენი ელდარ კურტანიძე



ოლიმპიური ჩემპიონები დავით ციმაკურიძე და რაფაელ ჩიმიშკიანი ახალ თაობას ადღეგრძელებენ



## რეგულარული ჩემპიონატი

23 დეკემბერი

**ტორონტო 5:2 ფლორიდა**

*2:0 2:1 1:1*

**1:0 რობერტსი (10), 2:0 პილარჯი (15), 2:1 ტრნკა (21), 3:1 რობერტსი (26), 4:1 ანტროპოვი (34), 5:1 ნუინდაიკი (43), 5:2 პუსელიუსი (52)**

ლიგის 30 გუნდიდან საშობაო არდადეგებს ყველაზე ამაღლებული განწყობით ტორონტო შეხვდა. „ნეკერჩხლის ფოთლებმა“ 20 ნოემბრიდან ჩატარებულ 15 მატჩში იხვეჭეს ქულები და ამ წარმატებულ სერიაში „ფლორიდასთან“ მეცამეტედ მოიგეს, დანარჩენ ორში ერთი ფრე და ერთი საოვერტაიმო მარცხი იყო.

**კალგარი 2:1 ედმონტონი**

*1:0 1:0 0:1*

**1:0 საპრიკინი (10), 2:0 ჟორინერი (25), 2:1 იორკი (57)**

მორჩა, სძლია „კალგარმა“ ედმონტონის სინდრომს. წლების განმავლობაში ამარცხებდნენ „მენავთობეები“ თანადივიზიონელ მეტოქეს და სწორედ ეს ქულები აკლდებოდა ხოლმე „ალებს“ ფინიშზე. თუმც დასრულდა კოშმარი — დღეისათვის „კალგარმა“ ურთიერთშეხვედრებითაც დაჯაბნა მეტოქე და ცხრილშიც...

**აილენდერსი 4:2 ფილადელფია**

*0:0 1:0 3:2*

**1:0 სკაჩარდი (24), 1:1 პანდზუში (43), 1:2 რეკი (50), 2:2 ეშამი (52), 3:2 ბლეიკი (55), 4:2 ეშაგი (60)**

**ვაშინგტონი 3:2 მონრეალი**

*0:0 1:0 2:2*

**1:0 იაგრი (26), 1:1 ბულისი (44), 2:1 ჰელპერნი (45), 2:2 რაიდერი (49), 3:2 ბონდრა (60)**

**ბოსტონი 1:1 ტამპა**

*0:0 1:0 0:1 0:0*

**1:0 ზაგუნერი (25), 1:1 რუა (41)**

ტამპას თავკაც ჯონ ტორტორელასა და გუნდის ლიდერ ვენსან ლეკავალიეს თითქოს ჩაწყნარებულმა კონფლიქტმა ახალი ძალით იფეთქა.

ბოსტონთან მატჩში მწვრთნელმა მოთამაშე სათადარიგოთა სკამზე დასვა, რადგან ერთ-ერთ ეპიზოდში სამი ორზე გასვლის დროს ვენსანმა დარტყმა დააყოვნა და საგოლე მომენტი ქარს გაატანა. ნაწყენმა ლეკავალიემ მატჩის შემდეგ პირდაპირ მიახალა ჟურნალისტებს — „რა კარგია, მცირე საბაბი მიეცა თუ არა, მაშინვე დამსაჯა. მე მოთამაშე ვარ და ჩემი სათამაშო ინსტიქტები მკარნახობს. იმ მომენტში ეტყობა, ასე გადავწყვიტე“. ცხადია, არც ტორტორელამ დააყოვნა პასუხი: „უნდა დაიწყოს გუნდური კონცეფციით თამაში. სულაც არ გადარდებს, ვინ არის და საერთოდ, თავი ვინ ჰგონია“.

**კოლუმბუსი 1:2 ფინიქსი**

*0:0 1:1 0:1*

**1:0 ნეში (23), 1:1 ჰრდინა (34), 1:2 ტანაბე (42)**

**ბუფალო 2:2 ოტავა**

*1:0 1:2 0:0 0:0*

**1:0 როი (17), 2:0 დიუმონი (22), 2:1 უაიტი (39), 2:2 ვერმეტი (40)**

**მინესოტა 3:3 ნეშვილი**

*0:1 3:2 0:0 0:0*

**0:1 ლეგვანდი (1), 1:1 გაბორიკი (21), 1:2 იტონი (23), 2:2 პარკი (35), 2:3 ჰოლი (36), 3:3 უიმერი (37)**

**ჩიკაგო 3:0 სენტ ლუისი**

*1:0 0:0 2:0*

**1:0 სალივანი (2), 2:0 ნიკოლი (42), 3:0 არნასონი (44)**

# გაყრილები

რონალდო და მილენ დომინგუში ერთმანეთს რომ გაყრილან, არახალი ამბავია. მაგრამ იმ დღეს ორივე სან პაულუში იყო და ფოტოკორესპონდენტებმაც არ დაახანეს — ერთიც ჩააკარტოჩკეს და მეორეც. რონიკოს რაღაც სალაღობო მატჩზე გადაუღეს, სალუქმკლავება მილენეს კი მაშინ, ბრაზილიელ ფეხბურთელ ფლავიო კონსეისაოს ტანსაცმლის გარეკლამებაში რომ ეხმარებოდა.






REUTERS სან პაულუდან

# ოლიმპიური გათხრა

პეკინში გათხრები დაიწყო, ოღონდ არა არქეოლოგიური, არამედ ოლიმპიური. მოგეხსენებათ, ჩინთა სატახტომ 2008 წელს ზაფხულის ოლიმპიადას უნდა უმასპინძლოს და ფოტოზე რომ ექსკავატოს ხედავთ, მაგან საწყალჯომარდო კომპლექსის საძირკველი ჩათხარა. ამბობენ, სულ ჩინელებმა 4,8 მილიარდიანი ხარჯი უნდა გაიღონო.

REUTERS პეკინიდან




REUTERS ოსაკადან



# შნო

ვერ დაემართა კარგი ამბავი იმ დღეს 120-მეტრიანი ტრამპლინიდან გადმოქანებულ სამხრეთკორეელ ჰონგ ჩულ ჩოის — ჰაერში შეტორტმანდა და მიწაზე დანარცხებულმა ლამის ყველა კიდური დაიქექა. ისე, სად კორეელი და სად ტრამპლინიდან ხტომაო, იკითხავს მავანი, მაგრამ — შნო აქვს და იმიტომ დახტისო, უპასუხებენ მას ჩულ ჩოის ფანები. ამბავი კი შვეიცარიულ ენგელბერგში მოხდარა.



REUTERS ენგელბერგიდან

# უმანდილობა

ესენი ქალები გახლავან — სამხრეთკორეელი ლი ინ-იუნგი (მარჯვნივ) და იაპონელი მისა მორიმოტო. ისინი ერთმანეთს კორეულ იონგინში ერკინენ და ათი რაუნდის მერე ქულებით ლის უმარჯვია და ქალთა სკრივო ასოციაციის მსუბუქწონოსანი ჩემპიონის ტიტული დაუცავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge